# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 24 ივლისი 2007 №168 (3091)

ფასი 50 თეთრი

# ოლიმპმა ყაზახეთი ორად გახლიჩა

## თავი ძნელი გასატანია, რადგან ასტანა გასატანია

# გავიტანოთ!




## დღეს კუშტანაიში:
## ასტანა – ოლიმპი

**ჩვენი კორესპონდენტის, ოთარ მაღლაკელიძის მატჩისწინა რეპორტაჟი იხილეთ მეორე გვერდზე**

# საქართველომ ფაჩულია დაკარგა და დაიკარგა

**ბულგარეთი 97:65 საქართველო**
**24:24 13:12 26:15 34:14**

...ლგარეთი: სტოიკოვი (2), ბოზოვი (23), ... ივანოვი (15), ბელიკოვი, ბანევი (4); კო...ტოვი (16), დ. ივანოვი (12), ვეხელინოვი (7), ...იმიტროვი (7), ვრბანოვი (7), გეორგიევი ...2), მარინოვი (2), ბლეკნი

...ართველო: ცინცაძე (3), ა. ბოისა, მ. მა...კოიშვილი (15), ნაცვლიშვილი (8), ფაჩუ...ია (21); უგრეხელიძე (9), გამყრელიძე (7), ...ბიაშვილი (2), გ. მარკოიშვილი, ტულუში, ...ეტავა

...ნ შილდსის დებიუტი საქართველოს ნა...ის მთავარი მწვრთნელის პოსტზე უი...ო გამოდგა. ახალშეკრებილმა ქართვე...მა გუშინ „ევატელის თასად" წოდებ...ოთხთა ტურნირის პირველ მატჩში მასპინძელ ბულგარელებთან 32 ქულით წააგეს.

თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ, რომელიც სლავებმა 37:36 მოიგეს, საქართველოს ნაკრები ბრინჯივით დაიბნა. ჩვენი ეროვნული გუნდის ლიდერი ზაზა ფაჩულია სანამ მოედანზე იყო, ქართველებს არაფერი უჭირდათ, მაგრამ „ატლანტას" ცენტრმა ადრიანად აკრიფა პერსონალურები და თავის დაზღვევის მიზნით მოედნიდან რომ გავიდა, ბულგარელებმა მერე აიშვეს.

მესამე მეოთხედი შილდსის სამწყსომ 11 ქულით წააგო, თუმც ამაზე დიდი იმედგაცრუება ჩვენებს ბოლო ათწუთეულში ელოდათ. ფაჩულიამ მეხუთე პერსონალური საფინალო სირენამდე კარგა ხნით ადრე მიიღო და მასპინძლებმაც ფარქვეშ ფრთები გაშალეს. 34:14 — ასე უმოწყალოდ დაჯაბნეს ბულგარელებმა ქართველები ბოლო მეოთხედში და საბოლოოდ 32-ქულიანი გამარჯვებაც იზეიმეს.

სხვათა შორის, დებიუტი ჰქონდა ბულგარელთა თავკაც კონსტანტინ პაპაზოვს, რომელსაც შეგირდებმა ჩინებული საჩუქარი გაუკეთეს. განსაკუთრებით იყოჩაღა სოფიური ცსკა-ს ფორვარდმა იორდან ბოზოვმა, რომელმაც ქართველები 23 ქულით დასაჯა.

დღეს საქართველოს ნაკრები მაკედონიას გაეჯიბრება, ხვალ კი ყველაზე სუსტი, დანია ელის.



ჩემპიონთა ლიგა 2007-2008
პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

# აქ ისეთები ხდება...

## უეფას ყაზახეთი ფლავის ჭამა ჰგონია

**ოთარ მაღლაკელიძე** კუშტანაიდან

კუშტანაი. 24 ივლისი. 16.30 საათი. ცენტრალური

**ასტანა — ოლიმპი (0:0)**

მსაჯები: ვ. ბანარი, ვ. გუტუ, ვ. გორბატოვი. ვ. ივანჩენკო (ყველა მოლდოვა)
უეფას დელეგატი: ლ. შელინგსი (ბელგია)



**სამსაათიანი** მგზავრობის შემდეგ კუშტანაიში ღლის 4 საათზე ჩავფრინდით. აუტანელი პაპანაქების მომლოდინეებს ჩრდილოყაზახური ქალაქი გრილი დაგვხვდა...

დილით წამოუწვიმია კიდეც და ალაგ-ალაგ მოზრდილი გუბეებიც იდგა. მალე ისევ გაწვიმდა...

ორი დღეა, აცივდა და მზე არც ხვალ შეგაწუხებთო, გვითხრა რეგისტრაციის გავლის შემდეგ ერთ-ერთმა დამხვდურმა, ასეთი კი სულ ორი იყო — ერთი თვის წინანდელი ინტერტოტოს თასის მატჩისგან განსხვავებით, ამჯერად არც აქაურ ქართველებს უაქტიურიათ და არც ჟურნალისტებს.

ავტობუსი „ასტანას“ პრეზიდენტმა და ადმინისტრატორმა დაგვახვედრეს. სტადიონის გავსებას არც ერთი არ ელის. ყაზახეთის დედაქალაქიდან კუშტანაი 850 კილომეტრითაა დაშორებული და ამხელა გზა ბევრ გულშემატკივარს შეაბრკოლებსო, დაიწუწუნეს და იქვე უეფაც „შეამკეს“: გაუგებარი გადაწყვეტილება მიიღო, რადგან ჩვენი სტადიონი აქაურს არაფრით ჩამოუვარდებაო.

ერთადერთი, რისიც ყაზახებს ეიმედებათ, კუშტანაიში ბოლოხანს აგორებული ბუმია — აქაურმა „ტობოლმა“ „ზესტაფონის“ შემდეგ ინტერტოტოდან მძლავრი „ლიბერეციც“ გამოთიშა, ორი დღის წინ კი ბერძნულ ოფი-საც მოუგო და უეფას თასის საგზურსაც მიუახლოვდა.

კვირის თამაშზე ტრიბუნებზე დასადგომი ადგილების პოვნაც კი შეუძლებელი ყოფილა. „ტობოლმა“ ხალხი გაახარა და, მომავალ მატჩზეც უნდა გადავიდეს ეს ინტორტოტოური ეიფორიაო, ამბობენ ასტანელები.

რუსთაველი ფეხბურთელები, მწვრთნელები და კლუბის ხელმძღვანელობა ქალაქის ცენტრში მდებარე სასტუმრო „მედეოში“ დაბინავდნენ. ქალაქის ყველაზე პრესტიჟულ, მაგრამ მხოლოდ 28-ადგილიან სასტუმროში მთელი ქართული დელეგაცია, ცხადია, ვერ დაგვატიეს და რამდენიმე კაცი ასიოდ მეტრში მდებარე ნაკლებვარსკვლავიან მოტელში დაგვაბინავეს. სწორედ იქ, სადაც ჩვენამდე ასტანელები დაბანაკებულან. სამწუხაროდ, „ოლიმპის“ მეტოქეებმა ვარჯიში შუადღესვე მოილიეს. რუსთაველთა თავკაცმა ვარლამ კილასონიამ კი შეგირდები მინდორზე თამაშამდე ზუსტად 24 საათით ადრე შეიყვანა.

სტადიონზე მისვლამდე ქალაქის ქუჩებში მანქანებიდან რუპორებით გადმომდგარი ბიჭები შევნიშნეთ, ხალხს აქტიურად მოუწოდებდნენ „ასტანას“ საგულშემატკივროდ მისვლას. აქაოდა, დედაქალაქურ კლუბს თქვენი მხარდაჭერა სჭირდებაო. პირველად მათგან შევიტყვეთ, რომ თამაშზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის უფასო ყოფილა.

სტადიონის ჭიშკართან „ტობოლის“ ნაცნობი ფანები შემოგვეგებნენ და მოგვახალეს, ხვალ „ასტანა“ აუცილებლად უნდა დაიფრინოთო. მათივე თქმით, დღეს 8-ათასიანი სტადიონი დაახლოებით სანახევროდ შეივსება. ამ ნახევრის ნახევარი ქართველების მხარეს იქნება. მიზეზი კი „ტობოლსა“ და „ასტანას“ შორის ჩამოვარდნილი შუღლი ყოფილა.

„ჩვენ ერთმანეთს ვერ ვიტანთ და როცა აქ „ტობოლი“ და „ასტანა“ თამაშობენ, საგულშემატკივროდ ერთი ასტანელიც კი ვერ ბედავს ჩამოსვლას. შარშან რომ ეგენი ჩემპიონები გახდნენ, ჰგონიათ, მართლა გვაჯობეს?! უბრალოდ, „ტობოლი“ პროვინციული კლუბია და დედაქალაქისას ათი თავითაც რომ სჯობდეს, მაინც ვერაფერს გავხდებით. ეს ყაზახეთია და აქ ისეთები ხდება... ასე რომ, გქონდეთ ჩვენი იმედი“ — დაგვპირდა ერთი კუშტანაელი.

ქართველების ვარჯიში დაახლოებით 40 წუთს გაგრძელდა. კილასონიამ შეგირდები დიდად არ დატვირთა. ნავარჯიშევს კი აი, რა გვითხრა: „შემადგენლობის მონახაზი, რა თქმა უნდა, უკვე მაქვს, მაგრამ საბოლოო ვარიანტამდე ჯერ კიდევ შეიძლება, რამე შეიცვალოს. ახლა მხოლოდ იმას გეტყვით, რომ პირველი მატჩის შემადგენლობაში ცვლილებები აუცილებლად იქნება. ცხადია, შევცვლით ტაქტიკასაც — თუ რუსთავში სწრაფ გოლზე ვფიქრობდით, ახლა შედარებით ფრთხილად დავიწყებთ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დაცვაში ჩავჯდებით, მეტოქეს აუცილებლად შევუტევთ, ასტანელებს ხომ გოლი სჭირდებათ და ამიტომ ცოტა უფრო გაიხსნებიან, ვიდრე ერთი კვირის წინ. ვეცდებით, ამით ვისარგებლოთ“.

ყაზახთა მთავარ მწვრთნელ ალექსანდრ ირხინს სასტუმროში კი შევხვდით, თუმცა მოკლე და დელიკატურ პასუხებზე მეტი არ გამოიმეტა: „ხვალ სერიოზულად გაგვიჭირდება, „ოლიმპი“ კარგი გუნდია, შანსები თანაბარია, ბევრი რამ კი ფორტუნაზეც იქნება დამოკიდებული.“

თამაშს ორი ნორვეგიელი დაესწრება. ამ წყვილის მომავალმა მეტოქე „რუსენბორგმა“ კუშტანაიშიც მოავლინა მსტოვრები. ვიკინგები რუსთაულ მატჩს ხომ დაესწრნენ და კუშტანაიშიც „ოლიმპთან“ ერთად იმგზავრეს. ნორვეგიელები არ მალავენ, რომ რუსთაულ გუნდთან თამაში ურჩევნიათ, რასაც „ოლიმპის“ სისუსტის გამო კი არ ნატრობენ, არამედ კუშტანაის სიშორისა და ცხელი კლიმატის გამო.

და ბოლოს: ქართველ გულშემატკივრებს მატჩის ონლაინ-რეპორტაჟის ხილვა „ასტანას“ ოფიციალურ ვებგვერდზე შეეძლებათ.



ვლადიმერ ხაჩიძე

## ნერგაძეც და გონჩაროვიც ბორჯომში

**ზვიად სტურუამ** და ლევან აკობიამ „ბორჯომში“ ვარჯიში დაიწყეს — გადაწყვეტილია, რომ ისინი პირველ წრეში ვლადიმერ ხაჩიძის გუნდში ითამაშებენ.

„ბორჯომი“ თბილისის „დინამოდან“ კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის იჯარით აყვანას ეშურება და როგორც შევიტყვეთ, მათ შორის იქნებიან ნახევარმცველი გია ნერგაძე და ფორვარდი ბორის გონჩაროვი.

„ბორჯომი“ ხვალ გორის „დილას“ ხვდება ამხანაგურად და ახალწვეულებიც ითამაშებენ.

**ნუკრი ლოლაძე**

## ბათუმი უკვე ვარდება

**ახალი** სეზონისთვის მზადება „ბათუმმა“ 18 ივლისს დაიწყო — გუნდში სულ ადგილობრივი ფეხბურთელები ვარჯიშობენ.

როგორც მთავარმა მწვრთნელმა ამირან გოგიტიძემ გვითხრა, სხვა ფეხბურთელების დამატება ჭირს, რადგან ვინც ასე თუ ისე კვალიფიციური მოთამაშეა, ყველამ იპოვა გუნდი, ჩამოყვანილმა ფეხბურთელმა კი ადგილობრივს თუ არ აჯობა, მის მიყვანას აზრი არა აქვსო.

„თუ რამე არ შეიცვალა, ამ გუნდით უმაღლესიდან გავარდნის უპირველესი კანდიდატები ვიქნებით“ — ესეც ამირან გოგიტიძის სიტყვებია.

**ნუკრი ლოლაძე**

## ცხინვალი: სამი ნიგერიელი და გიორგი ქუცურუა



ნიგერიელი ჰუსეინ ქარიმ ადეიემი

**უმაღლესლიგაგანლდებული** „ცხინვალი“ ორ დღეში ზღვისპირეთში, სავარაუდოდ, ურეკში წავა შეკრებაზე. კლუბის ვიცე-პრეზიდენტი გიორგი ნემსაძე სწორედ ზღვისპირეთშია და შეკრების საკითხს აგვარებს.

მანამდე კი გუნდის მთავარი მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი თანაშემწეებთან, არჩილ ჩხაიძესთან და სერგო გაბელაიასთან ერთად „ნორჩ დინამოელზე“ ავარჯიშებს გუნდს.

სიახლე: გუშინ „ცხინვალში“ სამმა ნიგერიელმა (ერთი მცველი, ორი ნახევარმცველი) ივარჯიშა.

გადაწყვეტილი ამბავი კი ისაა, რომ „ცხინვალში“ ითამაშებს ნახევარმცველი გიორგი ქუცურუა, ვისაც თბილისის „დინამოში“ და ბოლნისის „სიონში“ უბურთავია, წინა სეზონის მეორე წრე კი საჩხერის „ჩიხურაში“ გაატარა.

**ნუკრი ლოლაძე**

### ფინეთი

| ვეიკაუსლიგა. XIV ტური |
| --- |
| კტპ 1:0 ვიიკინგიტი |
| ლაჰტი 4:1 მარიეჰამნი |

### დანია

| სუპერლიგა. II ტური |
| --- |
| ჰორსენსი 2:1 მიდტიულანდი |

### ირლანდია

| პრემიერლიგა. XIX ტური |
| --- |
| შემროკი 0:0 სენტ პატრიკსი |

### ამხანაგური მატჩები

| |
| --- |
| შანხაი შენხუა 0:6 მანჩესტერი |
| ლიუბეკი 1:2 ჰანზა |
| კოტბუსი 2:1 ლიდსი |
| მაკლსფილდი 1:0 დერბი |

### ნორვეგია

| ტიპელიგა. XIV ტური |
| --- |
| ვოლერენგა 2:2 ტრომსიო |

### შვედეთი

| ალსვენსკა. XV ტური |
| --- |
| ბრომაპოიკარნა 0:3 ტრელეგორგი |
| ჰელსინგბორგი 2:3 აიკ |
| სუპერეტა. XV ტური |
| განკეფლო 1:3 ჰეკენი |
| ენჩიოპინგი 3:2 ფალკენბერგი |
| ლიუნგსკილე 2:1 ნორჩიოპინგი |
| სილვია 1:0 იოსტერსი |
| იონკოპინგი 2:0 იორგრიტე |

### უნგრეთი

| ბორსოდი ლიგა. I ტური |
| --- |
| მტკ 2:0 ფეჰერვარი |



# ამერის მესხერთით ერთი

**გუშინ** საგურამოში, „ამერის" ბაზაზე „ამერი" და ახალციხის „მესხეთი" ამხანაგურად გაეჯიბრნენ ერთმანეთს — საკონტროლო მატჩი 1:1 დამთავრდა.

„ამერი" ჩემპიონატის გარდა პოლონურ „ბელხატუვთან" უეფას თასის საპასუხო მატჩისთვისაც ემზადება, ხოლო „მესხეთი" უმაღლესი ლიგის დებიუტანტია. თუ გუშინდელი თამაშით ვიმსჯელებთ, მესხებს საკმაოდ კერკეტი გუნდი ჰყავთ და ჩემპიონატში მათთან ჭიდილი იოლი სულაც არ იქნება.

ბოლო 15 წუთს თუ არ ჩავთვლით, „ამერს" თვალშისაცემი უპირატესობა არ ჰქონია, ის კი არა, თავიდან „მესხეთი" დაწინაურდა, ოღონდ, ცოტა არ იყოს, კურიოზული გოლით — მე-4 წუთზე კარისკენ ზურგით მდგომ შოთა ჯიქიას საჯარიმოს წინა ხაზთან ბურთი თავში მოხვდა და... მეკარის ზურგს უკან ჩაეშვა.

იქამდე კი „ამერის" ახალწვეულ ბაჩანა ცხადაძეს ორი კარგი მომენტი ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა.

„ამერს" ბურთი ეჭირა, თუმც რეალურ საგოლე მომენტამდე საქმე არ მიდიოდა. 22-ე წუთზე კი ანგარიში გათანაბრდა — კობა შალამბერიძის კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი მიხეილ მესხს მიუვიდა და მანაც შანსი ხელიდან აღარ გაუშვა — 1:1.

ახალციხელთა მეკარემ გიორგი სომხიშვილმა მთელი დარჩენილი დრო უშეცდომოდ ჩაატარა და „მესხეთი" ფრეს რომ გამორჩა, მას უნდა უმადლოდეს — სომხიშვილმა ჯერ დიმიტრი ტატანაშვილის ურთულესი თავური აიღო, შემდეგ პირისპირ დარჩენილმა შალამბერიძემ გადაუგდო ბურთი თავზე, მაგრამ გიორგიმ მაინც იყოჩაღა და ბოლოწამს შესწვდა დარტყმულს.

უსაქმოდ არც „მესხეთი" ყოფილა — ტაიმის ბოლოს პაატა გვირჯიშვილმა, შოთა ჯიქიამ და დავით ინასარიძემ შეუტიეს „ამერის" კარს და, თუ პირველი ორის დარტყმულს მცველები დაუხვდნენ, ინასარიძემ კარს ოდნავ ააცილა.

მეორე ტაიმის დასაწყისი უფრო თანაბარი იყო, 65-ე წუთზე კი გიორგი ჩიხრაძემ მთელი გუნდი შეცვალა და საქმეში ის ხალხი ჩართო, ვინც უეფას თასის პირველი მატჩში ძირითად შემადგენლობაში იყო...

...სომხიშვილთან პირისპირ დარჩენილი გიზო ჯელაძე მეკარეს კი გასცდა, მაგრამ დააგვიანა და ახალციხელმა განმეორებით ვარდნაში აართვა ბურთი. სომხიშვილთან შეყრა სულიკო დავითაშვილსაც მოუხდა, როდესაც დავით ბოლქვაძემ უზადო გადაცემა გაუკეთა — „მესხეთის" მეკარე უძლური ჩანდა, მაგრამ „აბრეზამ" მასაც გადააცილა და კარსაც...

...დავითაშვილი-სომხიშვილის დუელი ერთხელაც ვიხილეთ, როდესაც ამერელმა შორიდან დაარტყა, თუმც სომხიშვილმა კუთხურზე მოიგერია ბურთი. მეკარემ ბოლქვაძესაც აუღო ჯარიმა.

ამ მომენტებს შორის გატანა მამუკა რუსიასაც მართებდა, მაგრამ მისი თავური ცარიელ კარს ოდნავ ასცდა.

„ამერმა" გოლი კი გაიტანა, გრიგოლ დოლიძის პასით რევაზ გოცირიძემ შეაგდო, მაგრამ თანამსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა.

ნამატჩევს „მესხეთის" მწვრთნელი *კობა თედიაშვილი* კმაყოფილი იყო: „ამერი" საქართველოს ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და ამ გუნდთან ძალების მოსინჯვა ჩვენთვის სასარგებლოა. ამ მატჩმა ბევრი რამ დაგვანახა. სამუშაო ჯერ კიდევ გვაქვს, განსაკუთრებით უკანა ხაზში. რამდენიმე ფეხბურთელის დამატებას კიდევ ვაპირებთ, მთლიანობაში კი მოსამზადებელი ეტაპით კმაყოფილი ვარ. ამ გუნდით შეგვიძლია, ელიტაში ადგილი შევინარჩუნოთ".

„ჩვენი ფიქრები უეფას თასის საპასუხო მატჩისკენაა. ეს მატჩიც ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპია „ბელხატუვთან" თამაშისთვის — გვითხრა „ამერის" მწვრთნელმა *გიორგი ჩიხრაძემ* — ფორსირებული ვარჯიშები არ გვაქვს, უფრო სათამაშო პრაქტიკა გვჭირდება. „ბელხატუვამდე" კიდევ ერთი სპარინგია დაგეგმილი — აზერბაიჯანულ „სიმურგთან". მართალია, ეს გუნდები ისეთი ძლიერი არ არიან, როგორებიც ჩეხეთში გვყავდა, მაგრამ ტონუსის ასამაღლებლად გამოგვადგება".

და ბოლოს, გუნდებმა მატჩი ასეთი შემადგენლობებით ჩაატარეს:

*„ამერი": ლ. ნადირაშვილი, დ. მჭედლიშვილი (ჩიკვილაძე 65), კობაური (დავითნიძე 65), კაკაშვილი (ხვადაგიანი 65), ელბაქიძე (დიდავა 65), ა. ალავიძე (ჯელაძე 65), შალამბერიძე (დოლიძე 65), მესხი (დობროვოლსკი 65), დეკანოსიძე (ვარდოსანიძე 53; ბოლქვაძე 65), ბ. ცხადაძე (დავითაშვილი 65), ტატანაშვილი (რ. გოცირიძე 65).*

*„მესხეთი": სომხიშვილი, გ. ნადირაშვილი (კობესაშვილი 46), აკოფიანი, ქვანია (მეტრეველი 46), ლეკიშვილი (მამუკაშვილი 46), თაყაძე (ვ. სულაძე 85), აფრიამაშვილი, ინასარიძე (კველიშვილი 46), გვირჯიშვილი, ა. კაიდარაშვილი, შ. ჯიქია (რუსია 46).*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# რუსები ქართველებს ქართველს ახვედრებენ

**27 და 29 ივლისს** საქართველოსა და რუსეთის 1992 წელს დაბადებულთა ნაკრებები შეხვდებიან ერთმანეთს — ორივე ამხანაგური მატჩი მოსკოვში გაიმართება.

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა ჰერბერტ ცანკერმა შემოდგომაზე გასამართ ევროშესარჩევში 1991 წელს დაბადებულები კი უნდა ათამაშოს, თუმც გერმანელი მწვრთნელი წინ იხედება და რუსეთთან ამხანაგურ მატჩებში ერთი წლით უმცროსებს გამოსცდის.

რუსეთის ნაკრების მწვრთნელმა იური სმოლიანინოვმა ქართველებთან დასახვედრი შემადგენლობა დაასახელა და მათ შორის ქართული გვარ-სახელიც აღმოვაჩინეთ: ირაკლი ჭეჟია, ვინაც მოსკოვის „სპარტაკის" ასაკობრივი გუნდის წევრია.

**ილია ნანოგაშვილი**

# გოგუამ დაიწყო: ჯერ მხოლოდ სირბილი



**გოგიტა გოგუამ** რომ გერმანიაში მენისკის ოპერაცია გაიკეთა, გეცოდინებათ. სამკვირიანი მკურნალობის შემდეგ საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა ვარჯიში განაახლა, თუმც ჯერ მხოლოდ სირბილს ახერხებს.

ჩვენიანი, სავარაუდოდ, ერთ კვირაში „სატურნთან" ერთად დაიწყებს ვარჯიშს, თამაში კი სამ კვირაში უნდა შეძლოს — ასეთია ექიმების პროგნოზი.

„სატურნის" მწვრთნელ გაჯი გაჯიევს კი, გოგიტაზე რომ შეეკითხნენ, ასე უპასუხა: „ჩემთვის არ არსებობს ძირითადის და სათადარიგოთა სკამის ფეხბურთელები. ვათამაშებ მას, ვინც ფორმაში. რაც შეეხება გოგუას, მას ბევრი სარგებლის მოტანა შეუძლია გუნდისთვის".

**ილია ნანოგაშვილი**

# ლვინიანიძის ბლიც-მოგება

**„მიუნხენ 1860"-მა** გროსბარდორფის ბლიც-ტურნირი მოიგო, რომელშიც მიუნხენელთა გარდა „ოფენბახი" და „კოტოკო" მონაწილეობდნენ.

მათე ლვინიანიძის გუნდმა „ოფენბახი" 1:0 დაამარცხა, „კოტოკოსთან" კი 0:0 ითამაშა. ჩვენებური მხოლოდ მეორე შეხვედრაში გაისარჯა.

ოთარ ხიზანეიშვილის „ფრაიბურგმა" კი ტესტ-მატჩში „ზაარბიუკენი" დაამარცხა. ქართველმა მცველმა სრულად ითამაშა და, როგორც კლუბის ვებგვერდი წერს, საჯარიმო დარტყმით გოლის გატანაც შეეძლო, თუმც მეკარემ ივარგა.

ტესტ-მატჩი გამართა დავით სირაძის „პადერბორნმაც". მეორებუნდესლიგელებს ობერლიგის ერთ-ერთ გუნდთან ძალიან გაუჭირდათ და მხოლოდ ფრეს გამორჩნენ — 1:1.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# შოთა უგოლოდ გამოჩნდა

**პირველად** მოირგო „ლევანტეს" მაისურა საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელმა შოთა არველაძემ. „ლევანტე" ამხანაგურად „ნავალენოს" გაეჯიბრა და მისგან ქვა ქვაზე არ დატოვა — 16:0, ასეთი ანგარიშით მოიგო არველაძის ახალმა გუნდმა.

მწვრთნელს ჩვენებური დიდად არ დაუტვირთავს და მხოლოდ საწყისი 30 წუთი ათამაშა. მართალია, ამ მცირე დროში არველაძეს გოლი არ გაუტანია, მაგრამ საკმაოდ აქტიური იყო, წერენ ესპანელები.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ორი გიორგის ამბავი: ონიანი ვიზას იღებს, სეთურიძე ტრავმას




**გეცოდინებათ, გიორგი ონიანმა, გიორგი სეთურიძემ და ილია კანდელაკმა იენის „კარლ ცაისთან“ რომ გააფორმეს კონტრაქტი. ჩვენდა გასაკვირვად, გუშინ გიორგი ონიანი თბილისში ვნახეთ და, ცხადია, ჩამოსვლის მიზეზი ვკითხეთ...**

— დღეს დილით ჩამოვედი. ხვალ გერმანიის საელჩოში მივდივარ სამუშაო ვიზის ასაღებად და ორ დღეში იენაში დავბრუნდები. წამოსვლის წინ აეროპორტში ცუდი ამბავი მითხრეს. „კარლ ცაისი“ „მაგდებურგს“ ამხანაგურად ხვდებოდა და გიორგი სეთურიძეს მუხლის მძიმე ტრავმა მიუღია, მალე ოპერაციას გაუკეთებენ და, როგორც თქვეს, ოთხი-ექვსი თვე ვერ ითამაშებს.

— ახალ გუნდში რამდენიმე მატჩი ითამაშე. პირველი შთაბეჭდილებები როგორია?

— მეორე ბუნდესლიგიდან არ უნდა გავვარდეთ. ალბათ, ცხრილის შუაში ვიქნებით. კლუბის ხელმძღვანელობას ამ ეტაპზე ბუნდესლიგაში გადასვლა მიზნად არ დაუსახავს.

— თბილისის „დინამოსთან“ ამხანაგურ მატჩზე რას იტყვი?

— პირველ ტაიმში ნახევარდაცვაში გვაჯობეს, მეორეში კი ჩვენ უკეთ გამოვიყურებოდით, ძირითადად ფიზიკური მომზადების ხარჯზე.

— მწვრთნელ ფრანკ ნოიბარტთან ახალწვეულ ქართველებს როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— ძალიან ადვილად ამყარებს კონტაქტს. მას სურს, რომ თავიდანვე მოვხვდეთ გუნდის ძირითად შემადგენლობაში. სეთურიძის ტრავმის გამო კი ძალიან გულდაწყვეტილი ყოფილა.

— გუნდის ლიდერი ვინ არის?

— კაპიტანი ტორსტენ ციგნერი.

— ეროვნულ ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი ხომ არ ჩამოსულა თქვენთან?

— არა. ისე კი, გუნდის უფროსი ლუტცი ლინდემანი რალფ მინგეს ესაუბრა ტელეფონით და, როგორც თავად გვითხრა, ჩვენზე გარკვეული ინფორმაცია მიუღია.

— რევაზ ბარაბაძის საქმე როგორაა?

— ალბათ უახლოეს დღეებში ეტყვიან საბოლოოო პასუხს. 4 აგვისტოს უკვე გერმანიის თასზე გვაქვს თამაში, 10-ში კი ჩემპიონატი იწყება.

**ნუკრი ლოლაძე**

# აგალის უარი ბარაბაძის შანსია

## კარლ ცაისს აშვეთია გაახსენეს, მაგრამ...




გიორგი სეთურიძე

**იენის** „კარლ ცაისში“ თავმოყრილმა ქართველებმა გერმანული გუნდი საინტერესოდ გვიქციეს და აი, ახალი ამბავიც: იენელებმა მორიგი საკონტროლო მატჩი გამართეს და „მაგდებურგი“ 2:1 დაამარცხეს. გიორგი ონიანს არ უთამაშია, ილია კანდელაკი და გიორგი სეთურიძე 59-ე წუთზე შეცვალეს, გასინჯვაზე მყოფმა რევაზ ბარაბაძემ კი სრულად ითამაშა.

ბარაბაძის გუნდში დარჩენის შანსმა მას შემდეგ მოიმატა, რაც ნიგერიელმა ვიქტორ აგალიმ „კარლ ცაისში“ გადასვლა და მეორე ბუნდესლიგაში თამაში იუარა. ახლა ყველაფერი ქართველის ხელშია — მწვრთნელს თავი უნდა მოაწონოს.

სხვათა შორის, მწვრთნელმა ფრანკ ნოიბარტმა და სპორტულმა მენეჯერმა ლუტცი ლინდემანმა პრესკონფერენცია რომ გამართეს, ჟურნალისტებს თავდასხმის პრობლემებზე ესაუბრნენ. იქაურმა მედიელებმა კი უმალ მიხეილ აშვეთია შეახსენეს...

— აშვეთია კარგი ფეხბურთელია, გუნდისთვის საჭირო, მაგრამ მისი დაბრუნების შანსი არ გვაქვს. აშვეთიას კონსულტანტისგან გავიგეთ, რომ ერთ-ერთ რუსულ გუნდთან ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმებია. ეს გასაკვირიც არ არის, მას რუსი მეუღლე ჰყავს — განაცხადა ლინდემანმა.

ისე, გერმანელები თუ კარგად გაიკითხ-გამოიკითხავენ, იმასაც გაარკვევენ, რომ აშვეთია რუსეთში კია, მაგრამ ჯერჯერობით უგუნდოდაა.

ამავე პრესკონფერენციაზე ნოიბარტმა მოკლედ ისაუბრა ქართველებზე: „სამივე შესანიშნავად შეეწყო გუნდს, ერთადერთი პრობლემა ენის არცოდნაა და ურთიერთობა თარჯიმნის საშუალებით გვიხდება, მაგრამ ყველა ცდილობს გერმანულის სწავლას და იმედია, ისევე კარგად ისწავლიან, როგორც ფეხბურთს თამაშობენ“.

და ერთიც: „მაგდებურგთან“ მატჩში მძიმე ტრავმა მიიღო გიორგი სეთურიძემ — მან მეტოქესთან შეჯახებისას მუხლი დაიზიანა და შესაცვლელი შეიქნა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კახა ალადაშვილიც კარპატებს იქით




**უჟგოროდის** „ზაკარპატიეში“ ოთხი დღის წინ გადასულ ოთარ მარცვალაძეს კახა ალადაშვილმაც მიაკითხა. ალადაშვილიც და მარცვალაძეც უკრაინის უმაღლესი ლიგის დებიუტანტ გუნდში წლის ბოლომდე განათხოვრებით ითამაშებენ — როგორც ჩანს, ან კიევის „დინამომ“ არ ინდომა ჩვენიანების გაყიდვა, ანაც მათი მყიდველი კლუბი არ გამოიძებნა.

მარცვალაძის ზაკარპატიული დებიუტი კვირას შედგა, როცა ჩვენიანი „ვორსკლასთან“ მატჩში 15 წუთით შევიდა შეცვლაზე, ალადაშვილი კი გუშინ ჩავიდა უჟგოროდში და, სავარაუდოდ, მომდევნო ტურში პირველად ითამაშებს ახალ გუნდში.

კიევის „დინამოს“ ძირითად გუნდში ალადაშვილ-მარცვალაძის ადგილი მიკროსკოპითაც არ ჩანდა, „ზაკარპატივში“ კი სათამაშო პრაქტიკა არ უნდა მოაკლდეთ.

არადა, ალადაშვილმა რამდენიმე დღის წინ გვითხრა, რუსეთის ვიზას ველი, ერთ-ერთ იქაურ ამბიციურ კლუბში გადავდივარო.

**ილია ნანობაშვილი**

# გვაზავა მაინც შორს წავიდა



**გუშინ** ლევან გვაზავამ ნალჩიკის „სპარტაკი“ დატოვა. ამიერიდან იგი ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიაში“ ითამაშებს.

ნალჩიკელთა სპორტულმა დირექტორმა ალექსანდრ ზარუცკიმ რუსულ პრესასთან საუბარში განაცხადა, რომ კლუბმა გვაზავა ახალ, უფრო სასურველ კონტრაქტი შესთავაზა, მაგრამ თავად ფეხბურთელს ნალჩიკის დატოვება გადაწყვეტილი ჰქონდა, რადგან ვლადივოსტოკელებმა უფრო სარფიანი კონტრაქტი შესთავაზეს. არადა, ორი დღის წინ გავრცელებული ინფორმაციით, გვაზავა ახალ კონტრაქტს უყოყმანოდ დათანხმებულა...

„არ შეგვიძლია, საკუთარ თავს გადავახტეთ — ლევანს მაქსიმუმი შევთავაზეთ. მას კლუბის ხელმძღვანელობა ელაპარაკა, მაგრამ სხვა გზას დაადგა და ეს მისი არჩევანია“ — განაცხადა ზარუცკიმ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ნიკა გელაშვილი ზულტე-ვარეგემშია

**„ვიტ ჯორჯიას“** ყოფილი თავდამსხმელი ნიკა გელაშვილი ბელგიურ „ზულტე-ვარეგემშია“ გასინჯვაზე. 21 წლის ფორვარდი რომ ბელგიაში გააგრძელებდა კარიერას, ეს გაზაფხულზევე გაცხადდა, ოღონდ რომელ კლუბში, დღესაც ბოლომდე გაურკვეველია — საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ეს სწორედ „ზულტე-ვარეგემი“ იქნება, მაგრამ ნიკა ჯერ ორი დღის მისულია გუნდში და მწვრთნელ ფრენკ დურის თავი უნდა მოაწონოს.

გელაშვილი აპრილში ბელგიურ „ბეერსხოტში“ იყო, საიდანაც ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ „ბრიუგეში“ მივიდა და ერთი ტესტ-მატჩი ღონივრადაც ჩაატარა, მაგრამ „ვიტ ჯორჯიაში“ დაბრუნებამ მოუწია. ნიკა ერთი თვის წინ მეორედ ჩავიდა „ბრიუგეში“, ათიოდ დღეც ივარჯიშა, მაგრამ კლუბს უკვე შეგულებული ჰყავდა ორი ფორვარდი და ჩვენიანს წამოსვლა მოუხდა.

თუმც ნიკამ „ზულტე-ვარეგემის“ ყურადღება მიიპყრო და იგი გუშინ ჰოლანდიურ „ტილბურგთან“ ამხანაგურ მატჩში 18 წუთი ათამაშეს — ბელგიელებმა 1:0 მოიგეს.

ფრენკ დურიმ თქვა, გელაშვილმა ერთხელ ივარჯიშა ჩვენთან და ამიტომ ვერ ვათამაშე დიდხანსო.

„ზულტე-ვარეგემი“ დღეს ფრანგულ „ვალანსიენს“ ხვდება და გელაშვილის დარჩენა-არდარჩენის ამბავიც დიდწილად აქ გადაწყდება.

„ზულტე-ვარეგემმა“ ბელგიის ჩემპიონატი მეთოთხმეტე ადგილზე დაასრულა, ერთი წლის წინ კი უეფას თასზე თამაშობდა და ჯგუფურ ეტაპზეც გააღწია.

**ილია ნანობაშვილი**

# გოგონები, ტირილი და რაშელი



**დევიდ ბექემი** ამერიკაში გადაბარგებამ ამ ზაფხულს საგანგებოდ პოპულარული გახადა. დღე არ გავა, მასზე რაიმე ახალი არ დაიწეროს. აი, მაგალითად: ბექზმა განაცხადა, რომ ამერიკაში გადაბარგება სულაც არ გახლდათ ფეხბურთისთვის თავის დანებების ხერხი და კიდევ, თქვა, რომ სურს, თავის ოჯახს კიდევ ორი ადამიანი შემატოს.

„ძალიან მინდა, გოგონა რომ მყავდეს, მაგრამ ჯერჯერობით ღმერთმა სამი მშვენიერი ბიჭით დაგვაჯილდოვა. თუ ერთი ან ორი შვილი კიდევ გვეყოლება, უბედნიერესი კაცი ვიქნები — თქვა ინგლისის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა New Of The World-ისთვის მიცემულ ინტერვიუში — ისე, სამი ბიჭის გაძლება ხანდახან მართლა ძნელია, მაგრამ მეორე მხრივ, სახლში მისვლას, მათი ცელქობის ნახვასა და მათთან დროის გატარებას არაფერი სჯობს. დიახ, ამაზე უკეთესი ამ ქვეყნად არაფერი მეგულება. ყველა, ვინც მშობელია, გამიგებს რასაც ვამბობ“.

სხვათა შორის, ინტერვიუში, რომლის ციტატებსაც ქვემოთ გთავაზობთ, ბექემმა პირველად თქვა ის, რასაც უმრავლესობა ელოდა — რომ ის ერთი ბუნჩულა ოჯახის კაცია, შინ მისული ტელევიზორს რომ ჩაუჯდება და რომანტიკული კომედიის ცქერისას თვალზე ცრემლი მოადგება. დევიდს ჰკითხეს, როგორც მშობელი, რამდენად ემოციური ხართო. მან უპასუხა:

„ზოგადად ვარ ემოციური ადამიანი, როგორც საქმეში, ასევე შინ. იცით, ხანდახან, როდესაც ტელევიზორში ფილმს ვუყურებ, ვიქტორია მომიბრუნდება და მეკითხება: შენ რა, სტირი? აი, ასეთი გახლავართ, ემოციური. ყოველთვის ასეთი ვიყავი და ყოველთვის ასეთად დავრჩები“.

მაგრამ, როდესაც სიტყვამ „ლოს ანჯელეს გალაქსიში“ გადასვლა მოიტანა, ემოციურმა ადამიანმა საკმაოდ მკაცრად თქვა:

„არიან ადამიანები, რომლებიც ამერიკაში ჩემს წამოსვლას მხოლოდ დიდი ფულით ხსნიან და მას ფეხბურთიდან სანახევროდ წასვლას უწოდებენ. პირადად ჩემთვის საკითხი ასე არ დგას. ჩემთვის ამერიკა ახალი დიდი გამოწვევაა“.

სხვათა შორის, ბექემის თქმით, მას ინგლისიდანაც ჰქონდა მიწვევები, მაგრამ სამშობლოში დაბრუნება და საყვარელი „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ თამაში არ სურდა.

„მე, როგორც „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილ ფეხბურთელს, სხვა ინგლისურ კლუბში გადასვლა არასდროს მდომებია. ასევე ესპანეთში, „რეალის“ გარდა ვერსად ვითამაშებდი, ხოლო იტალიურ წინადადებებზე იმიტომ ვთქვი უარი, რომ თვი[illegible] გამოწვევა მინდოდა. რასაკვირველია, აქ მძიმე მუშაობა მელის, ვიცი, პერიოდულად ძალიან გამიჭირდება, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს. მე მიხარია, ამ მშვენიერ ქალაქში რომ ჩამოვედი, სახლი რომ შევიძინეთ, ბავშვებმა აქ რომ უნდა იარონ სკოლაში“.

შემდეგ, ბექემს იმ კრიტიკოსების გამონათქვამები შეახსენეს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ის ამერიკულ ფეხბურთს დაღს ვერაფრით დაასვამს და მისი ხუთწლიანი შრომა ამაო იქნება.

„დარწმუნებული ვარ, ძალიან დიდ წარმატებასაც რომ მივაღწიო, ხუთი წლის შემდეგ მაინც გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც იტყვიან, რომ ვერაფერი შევძელი და ამერიკული ფეხბურთი ახალ სიმაღლეზე ვერ ავიყვანე. არადა, ჩემთვის ეს ძალიან კარგი გართობაა. ძალიან დიდი სიამოვნებაა ამერიკული ფეხბურთის ახალ სიმაღლეზე აყვანის ცდა. თუ გამოვიდა, ეს სიამოვნება კიდევ უფრო დიდი იქნება, თუ არა და, ხალხს ის მაინც ეცოდინება, რომ ჩემი მხრივ ცდა არ დამიკლია. იცით, ერთი გულშემატკივრი უკვე შევიძინე. ეს ის ადამიანია, ვისაც „ლოს ანჯელეს გალაქსის“ ფორმები აბარია. მას რაული ჰქვია და ჩამოსვლისთვის დიდი მადლობა გადამიხადა, თქვენი წყალობით ჩვენს კლუბს მთელს ამერიკაში მზერა უამრავმა ადამიანმა მიაპყროო“.

**პაატუნა ძედია**





# დიპლომატიური პასუხი დიპლომატის შვილისგან

## რებეკა დევიდს არ ივიწყებს

**აბა**, ესა ყოფილა: ჰოლანდიელი დიპლომატის შვილი, ესპანეთში დევიდ ბექემთან გაბმული შური-მურით ცნობილი რებეკა ლოსი ბექემიანთ ოჯახს ამერიკაში გადაბარგების მერეც არ ანებებს თავს და ევროპიდან უთვლის, ემაგ ვიქტორიამ თავის კურო ქმარს თვალი კარგად მიადევნოს, თორემ პირველივე ხელსაყრელ მომენტში ულალატებსო.

„სპორტსმენები სექსუალური თვალსაზრისით ძალიან აქტიური ხალხია — საქმის პროფესიული ცოდნით განაცხადა ქალბატონმა ლოსმა — მუდმივი ვარჯიში მათ ფორმის შენარჩუნებაში უწყობს ხელს. ვიცი, რომ დევიდი ლამაზ ქალებს გულგრილად ვერ ტოვებს და ძალიან მეეჭვება, ამერიკაში სხვანაირი გახდეს. აბა, ამ საქმეში გეოგრაფია რას ცვლის“.

შეგახსენებთ, ამასწინათ, ამერიკული W-სთვის მიცემულ ინტერვიუში ვიქტორია ადამსი დაიქადნა, რომ რებეკა ლოსის ისტორიამ მისი და დევიდის ოჯახი კიდევ უფრო გაამყარა.

**პაატუნა ძედია**

# დაჰკარ! დაჰკარ!

## მაურინიუ ჟურნალისტმა დაამტვრია

**იციი**, „ჩელსის“ ხალხიდან ვინ დაშავდა? ვინ და, ჟოზე მაურინიუ! დიახ, არც მეტი და არც ნაკლები, ლონდონური გუნდის პორტუგალიელი მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ, რომელმაც მუხლსქვედა მყესები დაიზიანა.

ბუნებრივია, ამ ინფორმაციის შეტყობისას თქვენც იგივე კითხვა გაგიჩნდათ, რაც ჩვენ: კი მაგრამ, სად დაშავდა უფალი მაურინიუ? სად და, „ჩელსის“ მწვრთნელებისა და ტექნიკური პერსონალის ჟურნალისტებთან თამაშის დროს.

ამ შეხვედრას ტრიბუნიდან თვალს ფრენკ ლამპარდი, ჯონ ტერი, ეშლი კოული და სხვა ლონდონელები ადევნებდნენ.

მსოფლიო მასმედიის გულის გასახეთქად, თამაში მწვრთნელ-პერსონალის გამარჯვებით დამთავრდა, 3:1, თუმცა დონ ჟოზეს თანაგუნდელების ტრიუმფი არ უნახავს —



ჯერ მოედანზე იწვა, მერე კი აქედან ექიმები ამოუდგნენ და „ბრძოლის ველს“ გაარიდეს.

საბედნიეროდ, მაურინიუს ტრავმა მძიმე არ აღმოჩნდა და ის იმავე საღამოს შეუდგა თავისი პირდაპირი მოვალეობის შესრულებას.

**პაატუნა ძედია**

# შევას მილანში ელიან

**„მილანი“** 31 ივლისს, თუ მანამდე სხვა ფორვარდი ვერ იყიდა, „ჩელსიდან“ ანდრეი შევჩენკოს დაიბრუნებს — წერს „კორიერე დელო სპორტი“. „შავწითლები“ 13 მილიონ 500 ათასი გირვანქის გადახდას აპირებენ. იტალიური კლუბის პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი გაზაფხულზე აცხადებდა, რომ „ჩელსის“ ვერმორგებულ უკრაინელს სიამოვნებით მიიღებდა „მილანში“. აქამდე საუბარი იყო განათხოვრებაზე, რაც ლონდონელებს არ სურდათ, გაყიდვაზე კი თანახმანი არიან. გარიგება თუ შედგა, „ჩელსი“ მაინც იზარალებს, რადგან შევჩენკოში შარშან 30 მილიონი ჩაუთვალეს იტალიელებს, ხოლო „მილანი“ მოგებული დარჩება — 16 მილიონ 500 ათასსაც შეიტყაპუნებს და ფეხბურთელსაც დაიბრუნებს, რომელმაც 7 სეზონი გაატარა კლუბში და ყველანაირი ჯილდო მოიგო.

ჯერ კიდევ ორი თვის წინ ადრიანო გალიანიმ თქვა, არაევროკავშირელს არ ვიყიდით, რადგან შევჩენკოსთვის ადგილს ვინახავთო. ერთ სეზონში სერია A-ს კლუბს 2 არაევროკავშირელის შეძენის უფლება არ აქვს.

„მე ველაპარაკები მას თითქმის ყოველდღე და იცის, როგორც უნდა მოიქცეს“ — განაცხადა გალიანიმ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ვისია? ვისია?

## ტევესი ფიფას კომპეტენციაში არ ეტევაო

**იციით**, რა თქვა ფიფამ კარლოს ტევესის საქმესთან დაკავშირებით? მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ განაცხადა, გამორიცხული არ არის, ამ საკითხის მოგვარება ჩვენი კომპეტენციის ფარგლებს სცილდებოდესო.

შეგახსენებთ, რომ პრემიერლიგის ორმა გუნდმა, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ და „ვესტ ჰემმა“ ფიფას სადავო ფეხბურთელის, 23 წლის არგენტინელი თავდამსხმელის კარლოს ტევესის ამბავში მტყუან-მართლის გარჩევა სთხოვეს. „სარბიელის“ მკითხველს ისიც მოეხსენება, რომ პასუხად ფიფამ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენლებთან დანიშნა შეხვედრა, მაგრამ ხსენებული შეხვედრის წინ, როგორც ჩანს, ეჭვიც აღეძრა:

„უპირველეს ყოვლისა, ის არის გასარკვევი, რამდენად უფლებამოსილია ფიფა, ასეთ საკითხზე თავისი გადაწყვეტილება მიიღოს — უთხრა BBC-ს ორგანიზაციის პრესატაშემ ანდრეას ჰერენმა — ჩვენ უფრო ფაქტებს გავეცნობით, გადაწყვეტით კი საეჭვოა, რაიმე გადავწყვიტოთ“.

მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ ტევესის ყიდვას აპირებს. თანხა, რომელიც ალექს ფერგიუსონის ოფისმა უნდა გადაიხადოს, 30 მილიონი გირვანქაა, მაგრამ ვერაფრით გაირკვა, ვის უნდა გადაუხადოს ეს თანხა მყიდველმა მხარემ. საქმე ის არის, რომ ტევესს, ერთი მხრივ, „ვესტ ჰემთან“ აქვს კონტრაქტი გაფორმებული, მეორე მხრივ კი, მასზე ეკონომიკური უფლება ბრაზილიელი ბიზნესმენის კია ჯურაბჩიანისაა.

პრემიერლიგის შეფების აზრით, თანხა ლონდონურ კლუბს ეკუთვნის, თუმცა ისიც ცნობილია, რომ ლონდონურმა კლუბმა ჯურაბჩიანთან პირობა დაარღვია. ვინაიდან ინგლისური წესებით არ შეიძლებოდა, გუნდში ეთამაშა ფეხბურთელს, რომელიც იურიდიულად სხვა ფირმის საკუთრება იქნებოდა, ჯურაბჩიანსა და „ვესტ ჰემს“ შორის დაიდო პირობა — ტევესმა „ვესტ ჰემთან“ კონტრაქტი გააფორმა — თუმცა ახლა, როგორც ხედავთ, პირობა დავიწყებულია და ლონდონელები 30 მილიონს ითხოვენ.

ჰერენი განაგრძობს: „ჩვენ ვიცით, რომ ინგლისში მესამე პატრონის ყოლა აკრძალულია, მაგრამ ეს წესი ყველა ქვეყანაში აკრძალული როდია და ასეთ ვითარებაში ყოველი კონკრეტული ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის ინტერესის დაცვა შეუძლებელია. ჩვენი ვექილები გვეუბნებიან, რომ ფიფას მესამე მხარის მეპატრონეობასთან დაკავშირებით მკაფიო და კატეგორიული აკრძალვა არ აქვს და არასდროს ჰქონია. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, საქმეში ისეთი ორგანიზაცია ჩავრთოთ, სადავო საკითხთა გადამწყვეტი კაბინეტი რომ არის“.

**ბაჩუნა ქედია**


ეროვნული ბიბლიოთეკა



# მხეცი კაჭკაჭმაც შენიშნა

**ჟულიო ბაპტისტას** მსურველ კლუბთა რიცხვს ინგლისური „ნიუკასლიც“ შემატა.

„მხეცი“ შესანიშნავ ფორმაშია, „კოპა ამერიკაზე“ კარგად ითამაშა და სატრანსფერო ბაზარზე დიდ დაინტერესებას იწვევს.

ბაპტისტა „რეალის“ ახალ მწვრთნელ ბერნდ შუსტერის სამომავლო გეგმებში აღარ შედის და „სამეფო გუნდიც“ მის სარფიანად გაყიდვას აპირებს.

ბრაზილიელის სატრანსფერო ღირებულება 20 მილიონი ევროა. თავის დროზე „მხეცის“ სანაცვლოდ სამეფო თეთრებმა „სევილიას“ ზუსტად ეს თანხა გადაუხადეს. ამჟამად „რეალი“ და „ნიუკასლი“ მოლაპარაკებას აწარმოებენ.

ბაპტისტა თავიდან ცდილობდა, შუსტერი მის დარჩენაში დაერწმუნებინა, თუმცა უშედეგოდ და ბრაზილიელმაც ასე უთხრა „სკაისპორტს“: „თუ „რეალი“ ჩემს წინადადებას არ განიხილავს, ესპანური და ინგლისური კლუბების შემოთავაზებებზე სერიოზულად ვიფიქრებ“.

მოგახსენებთ, რომ „ნიუკასლის“ გარდა ბრაზილიელის ყიდვა „მილანს“ და „ვილიარეალს“ უნდათ.

**ლადო ხომერიკი**

# უვიზო ადუ ლისაბონში

**მეიჯორ** ლიგის „სოლტ ლეიკ სიტის“ მეგოლე ფრედი ადუ ლისაბონის „ბენფიკაში“ გადადის — წერს ამერიკული „სოლტ ლეიკ ტრიბუნი“.

ახალგაზრდა თავდამსხმელს ბრიტანეთში, „ტოტენჰემში“ ან „სელტიკში“ თამაში სურდა, მაგრამ იქ სამუშაო ვიზას არ მისცემენ, რადგან აშშ-ის ნაკრებში სათანადო რაოდენობის მატჩები არ უგროვდება.

# ალხო ვაჭრობს

**„ნანტის“** შვედი ნახევარმცველი კრისტიან ვილჰელმსონი, რომელიც წინა სეზონში „რომაში“ იყო განათხოვრებული, „ბოლტონში“ ერთი წლით მიდის.

„ამჟამად ფეხბურთელის პირად კონტრაქტზე ვვაჭრებით ინგლისურ კლუბს და ამ კვირაში გარიგება შედგება“ — განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა ფაბიო ალხომ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჰაინც და მაინც

**„ლივერპულის“** მწვრთნელმა რაფა ბენიტესმა განაცხადა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ გაბრიელ ჰაინცეს გადაყვანაზე ხელი ჯერ არ აუღია. რატომ უნდა აეღო? იმიტომ, რომ „იუნაიტედმა“ კატეგორიულად განაცხადა, არგენტინელ მარცხენა მცველს პრემიერლიგის რომელიმე სხვა გუნდს არ მივყიდითო.

მაგრამ, ბენიტესი თავისას არ იშლის: „ჩვენი პირველი წინადადება მანჩესტერელებმა უარყვეს. ახლა ჩვენი იურისტები ახალ ვარიანტებზე მუშაობენ და, შესაბამისად, მოცდა გვიხდება. ასეა თუ ისე, „ლივერპული“ ჰაინცეს ყიდვაზე ხელს არ იღებს, ის ძალიან კარგი ფეხბურთელია“.

ახლა კი გავიხსენოთ, რა თქვა რამდენიმე დღის წინ „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა: „გარწმუნებთ, „იუნაიტედი“ გაბრიელ ჰაინცეს „ლივერპულს“ არ მიჰყიდის. სხვათა შორის, ჩვენ მანამდეც გვქონდა ჰაინცესთან დაკავშირებით რამდენიმე შემოთავაზება, მაგრამ მათზეც უარი განვაცხადეთ“.

ამ განცხადების შემდეგ გაირკვა, რომ ჰაინცეს ხელთ ჰქონდა „მანჩესტერ იუნაიტედის“ აღმასრულებელი შეფის დევიდ გილის ხელმოწერილი ქაღალდი, რომელშიც ეწერა, რომ 29 წლის არგენტინელს იმ შემთხვევაში შეეძლო დაეტოვებინა მათი კლუბი, თუ მყიდველი მხარე მასში 6 მილიონ გირვანქას გადაიხდიდა.

„ლივერპულის“ იურისტები, ბუნებრივია, ამ წერილს არიან ჩაჭიდებულნი.

**ბაჩუნა ქედია**

# ნურაფერს ელით!

## ჩელსიმ რობენი ააგდო და თავი შეუშვირა



**მადრიდის** „რეალში“ რამდენიმე დღის წინ არიენ რობენი უკვე თავისიანად ჩათვალეს, თუმცა ახლა ირკვევა, რომ საქმე მთლად ისე არ მიდის, როგორც მადრიდელთა პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა დაგეგმა.

„სამეფო კლუბის“ შეფი არიენ რობენის მადრიდში ჩაყვანას ქომაგებს საპრეზიდენტო არჩევნებისას შეჰპირდა, მაგრამ არც „ჩელსი“ და არც ლონდონური კლუბის მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ ჰოლანდიელ ვარსკვლავთან განშორებას არ აპირებენ.

არადა, სენიორ კალდერონმა სრულიად მადრიდს რობენის „რეალში“ უეჭველი გადასვლის თაობაზე სულ ახლახან ამცნო.

პრეზიდენტს ჰოლანდიელის ტრანსფერი სასწრაფოდ სჭირდებოდა, რათა კაკას და სესკ ფაბრეგასის ვერშეძენით განაწყენებული ფანები დაემშვიდებინა. ოღონდ საქმე ის გახლავთ, რომ თითქოს შედგარი გარიგება უცებ ჩაშლის პირას დადგა — რომან აბრამოვიჩი და მაურინიუ გაჯიუტდნენ და რობენის გაყიდვაზე უარი განაცხადეს.

„ჩელსიმ“ „რეალის“ ჯერჯერობით ბოლო სატრანსფერო იერიშიც მოიგერია — ლონდონელებმა მადრიდული კლუბის მიერ რობენში შეთავაზებულ 21 მილიონ ევროზე ცივი უარი თქვეს. ჟოზე მაურინიუ კი ამტკიცებს, რომ არიენის გაშვება საერთოდ არ სურს.

პორტუგალიელი მწვრთნელის „ჩელსიმ“ „ლოს ანჯელეს გალაქსისთან“ ამხანაგური მატჩი გამართა, რომელშიც ჰოლანდიელს არ უთამაშია.

„რობენი ტრავმირებულია და მოედანზე ამის გამო არ შესულა. იგი „ჩელსის“ ფეხბურთელია და ლონდონშიც ჩვენთან ერთად დაბრუნდება — მადრიდში მის ჩაფრენას ტყუილად ნუ ელით“ — თქვა ჟოზემ.

თავად არიენ რობენი „რეალისადმი“ სიმპათიებს საჯაროდ კი ამჟღავნებს, მაგრამ ინგლისური გაზეთების ცნობით, რომან აბრამოვიჩის აგენტები ახლა მასთან კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე აწარმოებენ მოლაპარაკებას და ალბათ შეთანხმდებიან კიდეც.

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პელემ რონალდო და კაკა დაარიგა
## გამატანეთ ინძაგი სანტოსში!



**პელემ** „გაძეტა დელო სპორტთან“ ინტერვიუში იტალიურ „მილანზე“ საკმაოდ ვრცლად ისაუბრა. როგორც ირკვევა, ლეგენდარულ ბრაზილიელს „როსონერისადმი“ დიდი სიმპათიები ჰქონია. მან ბრაზილიური ფეხბურთის ერთ-ერთ სუპერვარსკვლავ კაკას ურჩია, „რეალში“ წასვლაზე არ იფიქრო, „სან სიროზე“ დარჩიო.

„მე „სანტოსის“ ერთგული ვიყავი, სადაც 20 წელი გავატარე. არსად წავსულვარ მიუხედავად იმისა, რომ მიმზიდველი წინადადებები მივიღე „რეალისა“ და „იუვენტუსისგან“. გადავწყვიტე, იქ დავრჩენილიყავი, სადაც გავიზარდე და სახელი მოვიხვეჭე, სადაც ხალხს ვუყვარდი და ბედნიერი ვიყავი. ფული ყველაფერი არ არის, ეს მოძველებული, მაგრამ ჭეშმარიტი ნათქვამია. არ მინდა, კაკას ცხოვრებაში ჩავერიო და ვუთხრა, როგორ მოიქცეს, მაგრამ თავად განსაჯეთ, იგი „მილანში“ წარმატებული და ბედნიერია, რატომ უნდა შეიცვალოს კლუბი?!“ — თქვა პელემ.

ლეგენდარულმა ბრაზილიელმა მეორე თანამემამულეზე, რონალდოზეც ისაუბრა.

შეგახსენებთ, რომ „კიჭასა“ და კაკას გარდა, „როსონერიში“ კიდევ სამი ბრაზილიელია — ნელსონ დიდა, მარკოს კაფუ და სერჟინიო.

პელე: „თუ რონალდო სათანადო ფიზიკურ ფორმას აღიდგენს, მჯერა, შეეძლება, კვლავ მსოფლიოს პირველი ნომერი იყოს. იგი ახლა კარგად ვარჯიშობს და ჩანს, „მილანში“ საჭირო შემართება და მოტივაცია დაიბრუნა“.

მოგეხსენებათ, „მილანს“ ფორვარდის დამატება უნდა და ერთ-ერთ კანდიდატად ასევე ბრაზილიელი, ახალგაზრდა ვარსკვლავი ალეშანდრე პატო ჰყავს შეგულებული.

„პატო კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ჯერ პატარაა — თქვა პელემ — ვფიქრობ, ცოტა ადრეა მისი ევროპაში გადაყვანა. შეხედეთ რობინიოს, რამდენი ხანი დასჭირდა, რათა „რეალში“ სათანადოდ ათამაშებულიყო. ამის მიზეზი სწორედ ნაჩქარევი ტრანსფერია. ჯერ არავინ იცის, თუ როგორი მოთამაშე დადგება პატო, მაგრამ ნამდვილად დიდი პოტენციალი აქვს“.

დაბოლოს, პელე ფილიპო ინძაგის დიდი ქომაგიც ყოფილა. ფეხბურთის მეფეს სურს, რომ ჩემპიონთა ლიგის ბოლო ფინალში „ლივერპულთან“ დუბლის ავტორი სუპერპიპო „სანტოსში“ გადაბარგდეს.

„არ ვიცი, „მილანს“ რეალურად სჭირდება თუ არა ფორვარდი, მას ხომ საოცარი ინძაგი ჰყავს. ფანტასტიკური იქნებოდა, პიპოს „სანტოსში“ მიყვანა რომ შემეძლოს. თავდასხმის ცენტრში თუ ითამაშებდა, ზედიზედ ხუთჯერ ჩემპიონები გავხდებოდით. არ არსებობს მცველი, რომელსაც მისი დაკეტვა შეუძლია, არა მარტო ბრაზილიაში“ — დასძინა პელემ.

**გიორგი ძაძაბაძე**

# მორიენტესმა ლიონი დააფიქრა
## ასიერ დელ ორნოს ბაიერნი ეპატიჟება

**ფერნანდო მორიენტესი** შეიძლება გაისად ფრანგულ „ლიონში“ ვიხილოთ. „ელ მოროს“ „ვალენსია“ „ლიონიდან“ შვედი კიმ კალსტრიომის წაყვანითაა დაინტერესებული და, როგორც ფრანგული მედია აცხადებს, ფერნანდოს სატრანსფერო ოპერაციაში ჩართავენ.

„ლამურები“ კალსტრიომში 12 მილიონ ევროს იხდიან, რაც „ლიონის“ თავკაც ჟან-მიშელ ოლას არ მოსწონს და შვედს ხელშეუხებლად აცხადებს. სხვაა, თუ საქმეში „ელ მორო“ ჩაერთო — სახელგანთქმული ესპანელის ყიდვაზე „ლიონში“ დიდი ხანია, ფიქრობენ და თუ „ვალენსია“ დათანხმდა, ფერნანდო მომავალ სეზონში საფრანგეთში გადაბარგდება.

მეორე ვალენსიელი ასიერ დელ ორნო კი ჯიუტად აცხადებს, რომ ესპანეთის მიტოვებას არ აპირებს — დელ ორნო ადრე ლონდონის „ჩელსიში“ გახლდათ, იქ საქმე კარგად ვერ აეწყო და ახლა ესპანეთში დარჩენა უნდა.

— „ვალენსიადან“ მხოლოდ იმ შემთხვევაში წავალ, თუ უცხოური კლუბიდან ხელსაყრელ შემოთავაზებას მივიღებ — თქვა „მარკასთან“ „ლამურათა“ კლუბის განაპირა მცველმა.

ასიერ დელ ორნოს შეძენას მიუნხენის „ბაიერნი“ ცდილობს, თუმცა რამდენად სარფიანია ბავარიელთა წინადადება, ჯერჯერობით უცნობია.

**ლადო ხომერიკი**



ფერნანდო მორიენტესი

# მარიკა: ნაბიჯი წინ

**გერმანიის** ჩემპიონმა „შტუტგარტმა“ დონეცკის „შახტარიდან“ რუმინელი ფორვარდი ჩიპრიან მარიკა იყიდა.

ფეხბურთელმა ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და წელიწადში 2 მილიონ ევროს მიიღებს.

„ვფიქრობ, რომ ეს წინ ნაბიჯია მარიკასთვის, რადგან მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს“ — თქვა „შახტარის“ რუმინელმა მწვრთნელმა მირჩა ლუჩესკუმ.

მარიკაში ინგლისური „დერბი“ უფრო მეტს უხდიდა დონეცკელებს, მაგრამ ფეხბურთელმა ბუნდესლიგა და ჩემპიონთა ლიგა არჩია.




# ვერტმფრენი და დიდი ჟრიამული მილანელოზე
## ანჩელოტიმ კალაძეც ახსენა...

**გუშინ** „მილანელოს“ ბაზაზე ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო ჩემპიონთა ლიგის მოქმედმა ტრიუმფატორმა „მილანმა“.

ამ ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე „მილანი“ გრანდებს შორის ერთ-ერთი ყველაზე პასიურია. „როსონერიში“ მხოლოდ ორი ახალი მოთამაშეა — კაკას ძმა დიგაო, რომელიც წინა სეზონში „რიმინიში“ გახლდათ განათხოვრებული და ვეტერანი ფრანგი იბრაჰიმ ბა. ამ 34 წლის ნახევარმცველმა ცოტა ხნის წინ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა კლუბთან.

ალბათ დაგვეთანხმებით, რომ დიგაო და ბა სხვა გრანდების შენაძენებთან შედარებით არაფერია, თუმცა მწვრთნელი კარლო ანჩელოტი მიიჩნევს, რომ მისი გუნდი ახლაც სათანადოდ ძლიერია და წარმატებების მიღწევა შეუძლია. ძნელია, შეედავო კაცს, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მოქმედი ტრიუმფატორია...

„ყველანი ძალიან გახარებულნი და შემართულნი ვართ. ვიცი, ჩვენი ფანების გარკვეული ნაწილი უკმაყოფილოა სატრანსფერო ბაზარზე „მილანის“ პასიურობით და შიშობს, რომ ამის გამო წარმატებას ვერ მივაღწევთ, თუმცა ახლა ჩვენ უფრო ძლიერნი ვართ, ვიდრე ერთი წლის წინ ვიყავით. წინა სეზონის დაწყებისას სერჟინიო, კახა კალაძე და ალესანდრო ნესტა დაშავებულნი იყვნენ და გუნდში ჯერ არც მასიმო ოდო და რონალდო ირიცხებოდნენ. მიუხედავად ყველა პრობლემისა, შევძელით ჩემპიონთა ლიგის მოგება, რაც ბევრს ნიშნავს. ახლა კი უფრო ძლიერი გუნდი გვყავს. რა თქმა უნდა, რთული სეზონი გველის, მაგრამ „მილანი“ კვლავ საუკეთესო იქნება. არ გამოვრიცხავ, ვინმე დავიმატოთ, მაგრამ არსად გვეჩქარება. დაუფიქრებელი ნაბიჯები კარგს არაფერს მოგვიტანს. ყველაფერს კარგად გავაანალიზებთ“ — განაცხადა ანჩელოტიმ.

ფილიპო ინძაგი: „მინდა, ჩემს ყოფილ კლუბს „იუვენტუსს“ სერია A-ში დაბრუნება მივულოცო. ტურინელებს ჩემპიონობის შანსიც ექნებათ, რადგან ევროტურნირებზე თამაში არ უწევთ და მთელი ყურადღება სერია A-ზე ექნებათ გადატანილი. ძალიან საინტერესო და სასიამოვნო სეზონი გველის. კალჩოპოლის სკანდალის შემდეგ ყველაფერი დალაგდა და არც მინუს ქულები იქნება. რაც შეეხება „მილანის“ თავდასხმას, სამუელ ეტოო ან რომელიმე მაღალი კლასის ფორვარდი ნამდვილად გაგვაძლიერებდა, მაგრამ, მგონი, ისედაც ჩინებული თავდასხმა გვყავს, რაც ჩემპიონთა ლიგის მოგებითაც დავადასტურეთ“.

აღსანიშნავია, რომ „მილანელოზე“ „როსონერის“ ფანები დიდი სიხარულით შეეგებნენ თავიანთ გმირებს. მათი ჟრიამული არანაკლები იყო, „როცა „შავ-წითლების“ საწვრთნელ ბაზაზე ცოტა მოულოდნელად კლუბის პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი ვერტმფრენით ჩაფრინდა.

**გიორგი ძაძაბაძე**

# პიენაარი ევერტონელია

**„ევერტონმა“** „დორტმუნდიდან“ ნახევარმცველი სტივენ პიენაარი ერთი სეზონით ითხოვა შემდგომში გამოსყიდვის უფლებით. 25 წლის ფეხბურთელი ბრიტანეთის სამუშაო ვიზას მალე მიიღებს და გუნდს შეკრებაზე შეუერთდება. იგი „დორტმუნდში“ ამსტერდამის „აიაქსიდან“ გადავიდა შარშან ზაფხულს.

# ტაპიროვიჩს ოთხწლიანი ელის

**„ჰალმშტადის“** ფორვარდი ემრა ტაპიროვიჩი „ლილში“ გადადის. ფრანგულ კლუბში კი პიტერ ოდემვინგის შეცვლის, რომელიც მოსკოვის „ლოკომოტივმა“ იყიდა. ხვალ-ზეგ ტაპიროვიჩი ლილში ჩავა, სამედიცინო შემოწმებას გაივლის და ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. 19 წლის თავდამსხმელით ინგლისური და ჰოლანდიური გუნდებით იყვნენ დაინტერესებულნი.

**მაკა ხუციშვილი**

იაია ტურეს „ელ მუნდო დეპორტივო" გაესაუბრა. კოტდივუარელმა ნახევარმცველმა განაცხადა, რომ „ბარსელონაში" გადასვლით ოცნება სინამდვილედ გადაექცა — ტურე კატალონიური ენის სასწრაფოდ შესწავლას აპირებს და ფანებს „ბარსასთვის" თავგანწირულ ბრძოლას ჰპირდება...



# იაია ტურე ბარსამ ჩაითრია

## სიდიდე სანტიმეტრობით არ იზომება

— უკვე „ბარსელონას" ფეხბურთელი ხართ. კატალონიურ გუნდში თქვენმა პირველმა დღეებმა როგორ ჩაიარა?

— თავს ისე ვგრძნობ, როგორც ზღაპარში. ყველა შესანიშნავად მეპყრობა და ამის გამო მინდა, კლუბს მადლობა ვუთხრა. აქ „ბარსას" გამარჯვებებში წვლილის შესატანად და ტიტულების მოსაგებად მოვედი. ეს ჩვენი, ფეხბურთელების მოვალეობაა — გუნდს ჯილდოები უნდა დავუბრუნოთ. ახლა საკმაოდ მშვიდად ვარ, თუმცა როცა „ბარსელონასთან" კონტრაქტს ვაფორმებდი, ძალიან ვღელავდი.

— ბარსელონაში გასულ ორშაბათს ჩამოხვედით. აქ ალბათ უკვე სახლსაც მოძებნიდით...

— საყოფაცხოვრებო საკითხებს ჩემი ცოლი განაგებს, მთლიანად მას გადავაბარე. ჩემი საქმე კი ფეხბურთია.

— ოთხშაბათს მარტომ ივარჯიშეთ...

— საგანგებო, ინდივიდუალურ კურსს გავდივარ და არ მინდოდა, ახალ კლუბში მოსვლის გამო ეს ვარჯიში შემეწყვიტა. ინდივიდუალური კურსი მეხმარება, რომ მუდმივად ფორმაში ვიყო. „ბარსას" თავკაცებს ვესაუბრე და ვარჯიშის უფლება მომცეს. თუმცა სამომავლოდ გავაგრძელებ თუ არა წვრთნის ამ მეთოდს, ჯერ არ ვიცი. „ბარსელონას" თავისი ვარჯიშების გეგმა აქვს შემუშავებული.

— თავის დროზე „ბარსელონაში" ლამის ყველა ჰოლანდიურად საუბრობდა, ახლა კი „ბარსა" შესამჩნევად „გაფრანგდა"...

— ჰო, ამჟამინდელი შემადგენლობის რამდენიმე წევრი ფრანგულად ვილაპარაკებთ, თუმცა მთავარი მაინც ჯილდოთა მოგებაა, რასაც საერთო უნივერსალური ენის, ფეხბურთის ცოდნით მოვახერხებთ.

— მოედანზე კომუნიკაცია ძალიან მნიშვნელოვანია?

— ჩემთვის კი. მიყვარს თანაგუნდელებთან საუბარი და ვთვლი, რომ ერთმანეთთან ურთიერთობა გუნდის განმტკიცებას უწყობს ხელს. ამიტომაც „ბარსას" თავკაცებს ვთხოვე, რომ კატალონიური ენის მასწავლებელს მიმაბარონ — ეს საქმეს მნიშვნელოვანწილად გამიადვილებს. „მალაგაში" რომ გადავსულიყავი, ესპანურის სწავლას დავიწყებდი, მაგრამ რახან ბარსელონაში ვართ, აქ კატალონიელი უნდა ვიყო.

— როდესაც დონეცკის „მეტალურგში" და ათენურ აეკ-ში თამაშობდით, უკრაინული და ბერძნული ისწავლეთ?

— დიახ, რა თქმა უნდა.

— მიზანდასახული პიროვნება ჩანხართ. გსურთ, რომ სამომავლოდ აფრიკის „ოქროს ბურთის" ლაურეატობაზე თქვენი თანამემამულე დიდიე დროგბა შეცვალოთ?

— ეს ჩემი ოცნებაა! მაგრამ ცხოვრება რთულია და ყველაფერს ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მიჰყვე. ამ ეტაპზე დაწყებაა მთავარი. ჯერ „ბარსელონაში" ფეხი უნდა მოვიკიდო, მერე ჯილდოები უნდა მოვიგოთ. შემდეგ კი დრო და ვითარება უჩვენებს...

— ტურეს „ბარსამ" მისი ალნაგობისა და სიძლიერის გამო მიაქცია ყურადღება. ხომ არ გეჩვენებათ, რომ თანამედროვე ფეხბურთში დაბალი მოთამაშეებისთვის ადგილი აღარ რჩება?

— რას ამბობთ! გუნდში საჭირო თანაფარდობის დასაცავად მაღლებიც საჭირონი არიან და დაბლებიც. საერთოდაც, სიდიდე სანტიმეტრობით არ იზომება. აბა, მითხარით, რითი არ არიან გიგანტები, მაგალითად, ხავი და ინიესტა? უბრალოდ, რახან თანამედროვე ფეხბურთში ძალას და ათლეტურ მომზადებას უფრო მეტი ყურადღება ექცევა, „ბარსასაც" არ უნდა, საერთო ტენდენციას ჩამორჩეს. მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, გუნდში წონასწორობის დასაცავად მაღალმა ფეხბურთელებმაც უნდა ითამაშონ და დაბლებმაც.

— თქვენი აზრით, შეიძლება, რომ რონალდინიომ, ეტოომ, მესიმ და ანრიმ ერთად ითამაშონ?

— მთელ მსოფლიოს უნდა, ასე მოხდეს, მაგრამ ეს მწვრთნელ ფრანკ რაიკარდზეა დამოკიდებული.

— კარლეს პუიოლის შესახებ რას იტყვით?

— გენიალური კაცია, „ბარსელონასთვის" უაღრესად საჭირო ფეხბურთელი. პუიოლი კატალონიური გუნდის მთავარი იარაღია და ქებას იმსახურებს. სამაგალითო ფეხბურთელია და ძალიან სამწუხაროა, ტრავმა რომ აწუხებს.

— და გაბი მილიტო?

— ისიც შესანიშნავი მცველია, ჩამოყალიბებული ფეხბურთელი.

— ოლეგერზე რას ფიქრობთ?

— სიმპათიური და გულღია ადამიანია.

— და სილვინიო?

— სილვინიოს „არსენალიდან" ვიცნობ. გამოცდილი მოთამაშეა.

— ლილიან ტურამი?

— სოლიდური, გამოცდილი უკანახაზელია, ისევე როგორც ჯანლუკა ძამბროტა. ტურამი ხასიათის სიმტკიცით გამოირჩევა.

— ბელეტზე რაღას გვეტყვით?

— მან ხომ კლუბისთვის ისტორიული გოლი შეაგდო...

— და ერიკ აბიდალი?

— ნიჭიერი ფეხბურთელია და უზღვავ ენერგიას ფლობს. ერიკი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო განაპირა მცველია.

— რას ფიქრობთ ფრანკ რაიკარდზე?

— ბავშვობიდან მისი გულშემატკივარი ვიყავი, როცა „აიაქსში" თამაშობდა. ახლა ფრანკთან, როგორც მწვრთნელთან, დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებ.

— თქვენ და სამუელ ეტოო „ბარსელონაში" აფრიკული ფეხბურთის თვალსაჩინო წარმომადგენლები ხართ...

— ჩემს ქვეყანაში ამაყობენ „ბარსაში" ჩემი ყოფნით და მეც დიდ სიამაყეს ვგრძნობ ამის გამო. „კამპ ნოუზე" თამაში და სამუელ ეტოოს, შესანიშნავი ფორვარდის თანაგუნდელობა დიდი პატივია. ვთვლი, რომ ეს წინგადადგმული ნაბიჯია აფრიკული ფეხბურთისთვის.

— რას გრძნობთ, როცა „ბარსელონაში" ამდენ ფერადკანიან მოთამაშეს უყურებთ?

— კმაყოფილი ვარ, რომ ფეხბურთი ევოლუციას განიცდის. მუქკანიან მოთამაშეთა მსოფლიო ფეხბურთში მასობრივად ჩართვა გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან დაიწყო. „ბარსელონას" არაფერი ეშლება — ის, რომ გუნდში ამდენი შავკანიანია, ჩვენს დაფასებას ნიშნავს. ვამაყობ ამ კლუბის წევრობით.

— იცით, რომ კატალონიის მფარველი წმინდანი ლა მორენეტაც მუქკანიანია?

— დიახ, ბიჭებმა უკვე მითხრეს ამის თაობაზე. არ ვიცი, ეს რამდენად სიმბოლურია, მაგრამ ვთვლი, რომ ბევრი რამ ერთმანეთს სასიკეთოდ ემთხვევა. ფრანკ რაიკარდიც ფერადკანიანი მწვრთნელია.

— 24 წლისა „ბარსაში" თამაშობთ... ალბათ ხანდახან გიჭირთ ამ რეალობის დაჯერება...

— ხანდახან კი უზარმაზარ სიამოვნებას ვგრძნობ, როცა ტიერი ანრისთან და სხვა ამდენ შესანიშნავ ვარსკვლავთან ერთად ვარ. როგორც უკვე ვთქვი, მინდა, გუნდს მაქსიმალურად დავეხმარო და ტიტულები მოვიგო. გაისად ჩვენი მიზანი ლა ლიგის, ჩემპიონთა ლიგისა და კოპა დელ რეის მოგება იქნება. ეს მიზანიცაა და გამოწვევაც.

— საკმაოდ მაღლა უმიზნებთ...

— ჩემი ყველაზე დიდი ოცნება ჩემპიონთა თასის მოგებაა. მგონი, ამას დანარჩენი ბარსელონელებიც ძალიან ესწრაფვიან და გამარჯვებისთვის თავდაუზოგავად ვიომებთ. სხვა გუნდებმა, რაც უნდათ, ის აკეთონ, ჩვენ ჩვენს საქმეს მივხედავთ. პირადად მე ჯერ გუნდში ადგილის მოსაპოვებლად ვიბრძოლებ. შეუპოვრად ვივარჯიშებ და, დარწმუნებული ვარ, დანარჩენი ფეხბურთელებიც ასე მოიქცევიან. ჯილდოები აუცილებლად უნდა მოვიგოთ.

— ვინ იქნებოდა იაია ტურე, თავისი ცხოვრება ფეხბურთისთვის რომ არ მიეძღვნა?

— ისეთ პროფესიას ავირჩევდი, რომელიც ბავშვებთან ხშირი ურთიერთობის საშუალებას მომცემდა. ყოველთვის, როცა თავისუფალი დრო მაქვს, ჩემს შვილებთან ერთად ვარ ხოლმე. მიყვარს მათთან თამაში და საუბარი.

## ხავიმ სავიოლა ვერ მოინელა

ესპანურ ლა ლიგას „რეალისა" და „ბარსელონას" გარდა სხვა ფალავნებიც ჰყავს, თუმცა ამ ორის ლეგენდარულ ჭიდილს პირინეებზე და საერთოდ მსოფლიოში სხვაზე მეტად აქცევენ ყურადღებას. „ბარსას" ნახევარმცველ ხავი ერნანდესის აზრით, მადრიდული და კატალონიური ბანაკების დაპირისპირებამ ისტორიულად დიდი სახელი მოიხვეჭა და ბუნებრივიცაა, ხალხი „ბარსელონას" და „რეალის" ჯახებს თვალყურს ინტერესით რომ ადევნებს.

„გასულ სეზონში „სევილიამაც" შესანიშნავად ითამაშა. გაისად არც ეს გუნდი უნდა დაგვავიწყდეს" — კორექტულად აღნიშნა ხავიმ.

თუმცა ესპანეთში ამბობენ, რომ ხავი ახლა „სევილიაზე" ნაკლებად ფიქრობს, მისი მზერა მადრიდისკენაა მიმართული, რადგანაც „რეალში" ხავის უახლოესი მეგობარი, ხავიერ სავიოლა ითამაშებს. ექსბარსელონელ „ბაჭიას" და კატალონიური გრანდის მესამე ვიცეკაპიტანს მართლაც დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ — როდესაც „ბაჭიას" „ბარსას" ყოფილ პრეზიდენტ ხუან გასპართან და მწვრთნელ ლუის ვან გაალთან კონფლიქტი მოუხდა, საქმე სწორედ კატალონიელმა ძმაბიჭმა მოუგვარა.

„ტკბილ-მწარე შეგრძნება დამეუფლა, როდესაც სავიოლას მადრიდის „რეალში" გადასვლის ამბავი გავიგე. მიხარია, რომ ჩემმა მეგობარმა თამაში დიდ გუნდში დაიწყო, თუმცა ხავიერის „რეალში" გადასვლა ჩემთვის საკმაოდ მძიმედ მისაღებია. რა გაეწყობა, „ბაჭიას" წარმატებას ვუსურვებ, მაგრამ არა მის გუნდს" — განაცხადა ხავი ერნანდესმა.

კატალონიელმა ჟურნალისტებმა ფეხბურთელს ახლანდელ „ბარსელონაზეც" ჰკითხეს...

„რაც ამ გუნდში ვარ, ასეთი ძლიერი შემადგენლობა არ გვყოლია" — უპასუხა მან.

**ლადო ხომერიკი**



# მანჩინის ინტერის ფერები მოსწონს

მილანის „ინტერის“ მოსამზადებელი პერიოდი კარგად მიდის — ფეხბურთელები ვარჯიშებზე შესანიშნავად გამოიყურებიან და ამხანაგურ მატჩებსაც იგებენ. „შავ-ლურჯების“ მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ თავის მორიგ პრესკონფერენციაზე ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე ისაუბრა...



— ამ დროისთვის გუნდის მდგომარეობას როგორ შეაფასებთ?

— დადებითად, რადგან აუტანელი სიცხის მიუხედავად, კარგად გამოვიყურებით. ბიჭები მაქსიმალურად ცდილობენ, რაც ძალიან კარგია. ცუდი ის არის, რომ რამდენიმე მოთამაშე გვაკლია.

— ფეხბურთელები ამბობენ, რომ ძალიან ერთობიან და სიამოვნებას იღებენ ვარჯიშებით...

— მოსამზადებელი პერიოდი ყოველთვის მხიარულია. მერე კი ყველაფერი ნორმაში დგება.

— კრისტიან კივუს შესაძლო ტრანსფერი რა ეტაპზეა?

— არ ვიცი, ნამდვილად არაფერი ვიცი. ვნახოთ, რა მოხდება.

— ადრიანო დიდი შემართებით ვარჯიშობს. მან ენთუზიაზმი და თვითრწმენა დაიბრუნა?

— იგი საკუთარ თავში ყოველთვის დარწმუნებული იყო. იმედი ვიქონიოთ, რომ ასე გააგრძელებს და ძველებურად ათამაშდება.

— როგორ ფიქრობთ, რას მიაღწევს „იუვენტუსი“ მომავალ სეზონში?

— დრო გვაჩვენებს. ტურინელებს ბევრი ახალი და კარგი მოთამაშე ჰყავთ. ვფიქრობ, სკუდეტო „იუვენტუსს“, „მილანს“, „რომასა“ და, რა თქმა უნდა, ჩვენს შორის გათამაშდება.

— ლუიშ ფიგუ ძველებურად შემართულია?

— იგი კვლავ ნამდვილი პროფესიონალი და მაღალი კლასის ფეხბურთელია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფიგუ შევინარჩუნეთ.

— ძირითად შემადგენლობაში იქნება?

— ადგილი გარანტირებული არავის ექნება და როგორც ყველა კლუბში, ზოგი ცოტას ითამაშებს, ზოგიც შედარებით ბევრს. არა მგონია, ფიგუმ თავისი ასაკის გათვალისწინებით 60 მატჩის სრულად თამაში მოითხოვოს. მგონი, მისთვისაც და გუნდისთვისაც აჯობებს, დავუშვათ, 30 მატჩი თამაშოს კარგად.

— ემერსონი „ინტერისთვის“ სასარგებლო ფეხბურთელი იქნებოდა?

— ემერსონი ბრწყინვალე ფეხბურთელია, თავის პოზიციაზე ერთ-ერთი საუკეთესო მსოფლიოში. იგივე ითქმის კივუზეც, რომელსაც დიდი პოტენციალი აქვს. თუმცა რამდენად რეალურია რომელიმე მათგანის „ინტერში“ გადმოსვლა, არ ვიცი.

— მოგეხსენებათ, ფრანჩესკო ტოტიმ სანაკრებო კარიერა დაასრულა, ამაზე რას იტყვით?

— არ ვიცი, რატომ მიიღო მან ასეთი გადაწყვეტილება. ძნელია კომენტარის გაკეთება.

— ზლატან იბრაჰიმოვიჩი როგორ არის?

— მწყობრშია. ცხადია, როცა ერთი თვე დაისვენებ და მერე ორ დღეში ოთხი ვარჯიში გიწევს, რთულია, თუმცა მალე ყველაფერი მოწესრიგდება.

# კივუობანა გრძელდება



**იტალიური** პრესის ცნობით, მილანის „ინტერსა“ და „რომას“ კრისტიან კივუს თაობაზე მოლაპარაკებები განუახლებიათ. დიდი შანსია, ეს უკვე გამაღიზიანებლად გაწელილი მოლაპარაკებები ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე, ანუ 31 აგვისტომდე გაგრძელდეს, მაგრამ იმასაც ამბობენ, შესაძლოა, ყველაფერი ამ კვირაში, გუნდების მმართველების, მასიმო მორატისა და როზელა სენსის მორიგი შეხვედრის შემდეგ გადაწყდესო.

პრობლემა ისევ რუმინელი მცველის ფასია. გავრცელებული ცნობით, დედაქალაქელები კივუში 18 მილიონ ევროს ითხოვენ, ხოლო „ინტერი“ მხოლოდ 14 მილიონის გადახდაზეა ყაბული.

ამასობაში, კივუზე გაბრაზებული „რომას“ „ულტრასები“ მას ვარჯიშებზე გამალებით უსტვენდნენ. ეს კი არ მოსწონს „გლადიატორთა“ მწვრთნელ ლუჩანო სპალეტის, რომელიც ქომაგებს სიმშვიდისკენ მოუწოდებს.

„კივუ არ იმსახურებს ასეთ მოპყრობას, იგი ნამდვილი პროფესიონალი და „რომას“ ერთ-ერთი ლიდერია. იმედია, კრისტიანი დარჩება, მაგრამ ჯერ არავინ იცის, რა მოხდება. მოლაპარაკებები ძალიან ჩახლართულია. თუ კივუ წავა, ორი ახალი მოთამაშე დაგვჭირდება — ცენტრალური მცველიც და გარემარბიც“ — თქვა სპალეტიმ.

**კოკი კანდელაკი**

# გარიყული ხულიგანი

**ანტონიო კასანო** კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა იტალიაში დაბრუნებას. რთული ხასიათით ცნობილი „ხულიგანი“ მადრიდის „რეალის“ 23-კაციან განაცხადშიც არ შეიყვანეს, რომელიც შეკრების გასავლელად ავსტრიაში გაემგზავრა.

„კითხვები დირექტორებს უნდა დაუსვათ. ჩვენ არ ვიცით, რა ხდება. კასანო არ არის არც განაცხადში და არც ვარჯიშზე“ — თქვა „რეალის“ კაპიტანმა რაულმა.

ესპანური „მარკას“ ცნობით, როცა კასანომ გაიგო, რომ განაცხადში არ შეიყვანეს, საერთოდ დაიკარგა, თუმცა ეს პირველად როდი მოხდა. სამწუხაროდ, უდავოდ ნიჭიერ ფეხბურთელს დისციპლინის ხშირი დარღვევით უფრო იცნობენ, ვიდრე კარგი თამაშით.

კასანოს „ინტერს“, „მილანსა“ და „ფიორენტინას“ უკავშირებდნენ, მაგრამ ახლა მის რეალურ მსურველად „ნაპოლი“ ითვლება.

**კოკი კანდელაკი**



## ლიუნგბერგი იჩაქუჩებს

**ფრედი ლიუნგბერგი** „არსენალიდან“ „ვესტ ჰემში“ გადავიდა. ამის შესახებ „ჩაქუჩების“ პატრონმა ეგერტ მაგნუსონმა შვედურ „აფ-ტონბლადეტთან“ განაცხადა.

30 წლის ლიუნგბერგი 1998-ში იყიდა „არსენალმა“ სამ მილიონ გირვანქად. 325 მატჩში შვედმა 72 გოლი გაიტანა.

„ვესტ ჰემს“ „დერბიდან“ 18 წლის ნახევარმცველის ჯოლ ბარნსის შეძენაც უნდა, რადგან „ბორდოდან“ ნაყიდი ჟულიენ ფობერი დაშავდა და ექვსი თვე ვერ ითამაშებს.

## ფეხმოტეხილი პიტბული

**„აიაქსის“** ნახევარმცველმა ედგარ დავიდსმა მარცხენა ფეხის წვივი მოიტეხა და სამი თვე ვეღარ დაეხმარება გუნდს.

1997 წელს ტურინის „იუვენტუსში“ თამაშისას ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა მსგავსი ტრავმა მიიღო „პერუჯას“ მეკარე ლუკა ბუჩისთან შეჯახებისას.

დავიდსს „მილანში“, „ტოტენჰემში“, „ბარსელონასა“ და „ინტერში“ უთამაშია.

## რეკობას ნავთობი ეპატიჟება

**იტალიური** მედიის ცნობით, ალვარო რეკობა „ინტერიდან“ ყატარის „ალ საადში“ მიდის — არაბულმა კლუბმა ურუგვაელ შემტევ ნახევარმცველს ორწლიანი კონტრაქტი და 5 მილიონი გირვანქა შესთავაზა.

მისი გადაბირება „კალიარისაც“ სურდა, მაგრამ „ალ საადს“ ფულში ვერ გაეჯიბრება, რომელსაც რეკობას თანამემამულე ხორხე ფოსატი წვრთნის.

## გუდიონსენი სახლს ეძებს

**„ბარსელონას“** ისლანდიელი ფორვარდი ეიდურ გუდიონსენი, შესაძლოა, „მანჩესტერ იუნაიტედში“ ან „სიტიში“ გადავიდეს.

28 წლის ფეხბურთელი გასულ კვირას მანჩესტერის ერთ-ერთ რაიონში, უორსლში უნახავთ, სადაც სახლის ყიდვას აპირებს.

„ბარსელონაში“ ტიერი ანრის მისვლის გამო გუდიონსენს აბარგება მოუწევს.

## კალსტრიომს ღამურამ მიაკითხა

**„ვალენსია“** „ლიონის“ შვედი ნახევარმცველით კიმ კალსტრიომით დაინტერესდა. ესპანური მედიის ცნობით, „ღამურები“ კალსტრიომ იმიტომ მიადგნენ, რომ „პორტუდან“ არგენტინელი ლუჩო გონსალესის ყიდვა ვერ შეძლეს.

შვედში ვალენსიელები 12 მილიონ ევროს იხდიან.

## იუვე კალიარელას ებღაუჭება

**„იუვენტუსი“** არ ეშვება „უდინეზეს“ და ფაბიო კალიარელას შეძენა უნდა — წერს „კორიერე დელო სპორტი“. თავდამსხმელი 14 მილიონ ევროდაა შეფასებული.

„იუვე“ უდინელებს ფულს და რაფაელე პალადინოს სთავაზობს. კალიარელამ ივნისში ლიტვასთან ევროშესარჩევ მატჩში დუბლი შეასრულა და იტალიამ 2:0 მოიგო.

## ბოჟინოვი იქით, კავანი აქეთ

**„ფიორენტინასა“** და ბულგარეთის ნაკრების ფორვარდი ვალერი ბოჟინოვი ევებ „პალერმოში“ გადავიდეს, იქიდან კი „იებს“ ურუგვაელი ედისონ კავანის წაყვანა სურთ.

„ფირენცევიოლას“ ცნობით, კავანის „მილანიც“ ეპატიჟება და ურუგვაელი „ფიორენტინას“ თუ არ ერგო, ფლორენციელები „ლაციოდან“ ტომაზო როკის გადაბირებას ეცდებიან.

## შეტევა კვერცხებით

**„ნაუტიკოსთან“** 0:3 წაგების შემდეგ „კორინთიანსის“ ასამდე გაავებულმა ფანმა კლუბის პრეზიდენტ ალბერტო დუალიბას სახლს ალყა შემოარტყა და კვერცხები დაუშინა.

ქომაგები გუნდის წახდენაში დუალიბას ადანაშაულებენ.

„კორინთიანსი“ 2005 წელს ბრაზილიის ჩემპიონი გახდა, შარშან გავარდნას ძლივს გადაურჩა, წლეულს კი ჩემპიონატში მეჩვიდმეტე ადგილზეა.

კვერცხების მსროლელები პოლიციამ დაშალა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ჩილე

### კლაუსურა. I ტური

სანტიაგო — უნივ. დე ჩილე 1:0; აუდაქს იტალიანო — კობრესალი 2:1. კოლო კოლო — მელიპილია დღეს გაიმართება

## ბრაზილია

### სერია A. XIII ტური

პარანა — პალმეირასი 1:0; სანტოსი — ფიგეირენსე 3:1; სპორტ რესიფე — ბოტაფოგო 3:3

## აშშ

### MLS. XVIII ტური

ნიუ ინგლენდი — ჰიუსტონი 3:3; კოლუმბუსი — ტორონტო 2:0; ნიუ იორკი — ვაშინგტონი 1:0; კანზასი — კოლორადო 2:2

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 72 | მოსკოვი-სატურნი | 1.85 | 2.80 | 5.20 | 1.11 | 1.36 | 1.82 |
| 19:00 | 73 | რუბინი-ლოკომოტივი მ | 3.00 | 2.60 | 2.70 | 1.39 | 1.42 | 1.32 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 19:30 | 146 | ჰონკა-ჰაკა | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| | | **ისლანდია** | | | | | | |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 23:15 | 151 | ბრეიდაბლიკი-რეიკიავიკი | 2.00 | 3.20 | 3.25 | 1.23 | 1.23 | 1.61 |
| 23:15 | 152 | ვალური-ფილკირი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 23:15 | 153 | ვიკინგური-ფრამი | 2.10 | 3.10 | 3.10 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 23:15 | 154 | აკრანესი-კოპავოგური | 1.65 | 3.40 | 4.40 | 1.11 | 1.20 | 1.91 |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 155 | ჰაფნაფიორდული-კეფლავიკი | 1.65 | 3.30 | 4.40 | 1.10 | 1.20 | 1.88 |
| | | **ჩილე** | | | | | | |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 303 | კოლო კოლო-მელიპილა | 1.25 | 4.70 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.08 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 186 | ბატე-აპოელი ნ | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 22:15 | 187 | დინამო ზ-ლენკორანი | 1.05 | 8.50 | 17.00 | 1.00 | 1.00 | 5.66 |
| 21:00 | 190 | კაუნასი-ზეტა | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 22:00 | 194 | სარაევო-მარსახლოკი | 1.04 | 9.00 | 17.00 | 1.00 | 1.00 | 5.88 |
| 20:00 | 199 | რეინჯერსი(ანდ)-შერიფ ტირასპოლი | 7.30 | 4.20 | 1.35 | 2.66 | 1.13 | 1.02 |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 188 | ელფსბორგი-ლინფილდი | 1.15 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.00 |
| 22:30 | 191 | ტირანა-დომჟალე | 3.00 | 3.30 | 2.10 | 1.57 | 1.23 | 1.28 |
| 19:30 | 192 | ლევადია-პობედა | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 19:00 | 193 | პიუნიკი-დერი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 20:00 | 195 | ტამპერე-მურატა | 1.09 | 7.40 | 15.00 | 1.00 | 1.01 | 4.95 |
| 22:00 | 196 | ტორშავნი-ჰაფნარფიორდური | 4.00 | 3.40 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| 19:00 | 197 | ვენტსპილსი-ტნს | 1.35 | 4.00 | 7.50 | 1.00 | 1.14 | 2.60 |
| 22:00 | 198 | ჟილინა-დუდელანჟე | 1.05 | 9.00 | 17.00 | 1.00 | 1.00 | 5.88 |
| | | **აზიის თასი 2007** | | | | | | |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 14:20 | 310 | სამხრეთ კორეა-ერაყი(ნ) | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 17:20 | 311 | იაპონია-ს.არაბეთი (ნ) | 2.00 | 3.10 | 3.30 | 1.21 | 1.24 | 1.59 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 14:00 | 201 | პორტსმუთი-ფულემი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 22:45 | 202 | ბრედფორდი-ბარნლი | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| 22:30 | 208 | დარლინგტონი-მიდლსბრო | 7.00 | 3.90 | 1.40 | 2.50 | 1.16 | 1.03 |
| 22:45 | 213 | ლეიტონი-ვესტ ჰემი | 6.25 | 3.80 | 1.45 | 2.36 | 1.17 | 1.04 |
| 22:45 | 216 | რეინჯერსი-აიაქსი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 22:00 | 219 | მარსელი-არისი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 21:00 | 227 | ზალცბურგი-არსენალი | 3.70 | 3.30 | 1.85 | 1.74 | 1.23 | 1.18 |
| 22:30 | 230 | ლოკერენი-ბრიუგე | 3.60 | 3.25 | 1.90 | 1.70 | 1.24 | 1.19 |
| 22:45 | 233 | ჰიბერნიანი-ბოლტონი | 3.70 | 3.30 | 1.85 | 1.74 | 1.23 | 1.18 |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 22:45 | 238 | დანდი იუნ.-ბარსელონა | 11.00 | 6.50 | 1.14 | 4.08 | 1.03 | 1.00 |
| 22:45 | 240 | ნიუკასლი-სელტიკი | 1.95 | 3.20 | 3.35 | 1.21 | 1.23 | 1.63 |
| | | **ევროპის ჩემპიონატი (19)** | | | | | | |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 19:30 | 304 | გერმანია 19-საბერძნეთი 19 | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 22:30 | 305 | ესპანეთი 19-საფრანგეთი 19 | 2.40 | 3.00 | 2.70 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| | | **გერმანია. თასი** | | | | | | |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 22:30 | 306 | ნიურნბერგი-შალკე | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 22:30 | 307 | შტუტგარტი-ბაიერნი | 3.10 | 3.10 | 2.10 | 1.54 | 1.25 | 1.25 |
| | | **საფრანგეთი** | | | | | | |
| | | **სუპერ თასი** | | | | | | |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 291 | ლიონი-სოშო | 1.60 | 3.20 | 5.50 | 1.06 | 1.23 | 2.02 |
| | | **ბელგია. სუპერ თასი** | | | | | | |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 22:30 | 292 | ანდერლეხტი-ბრიუგე | 1.95 | 3.10 | 3.50 | 1.19 | 1.25 | 1.64 |
| | | **ნორვეგია. თასი** | | | | | | |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 293 | ლილესტრიომი-ალესუნდი | 1.50 | 4.00 | 5.50 | 1.09 | 1.17 | 2.31 |
| 20:00 | 294 | ლინი-ბოდიო გლიმტი | 1.50 | 4.00 | 5.50 | 1.09 | 1.17 | 2.31 |
| 20:00 | 295 | რუსენბორგი-ოდ გრენლანდი | 1.45 | 4.00 | 6.00 | 1.06 | 1.16 | 2.40 |
| 20:00 | 296 | სტარტი-ჰაუგესუნდი | 1.50 | 4.00 | 5.50 | 1.09 | 1.17 | 2.31 |
| 20:00 | 297 | სტრიომგოდსეტი-ნოტოდენი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 22:00 | 298 | ვიკინგი-ბრანი | 2.15 | 3.30 | 3.00 | 1.30 | 1.25 | 1.57 |



# საქართველოს ოცდაათმა ევროპა გააოცა

## მიზანი მიღწეულია, ტურნირი გრძელდება

სენსაციური საქმე გააკეთა საქართველოს კადეტთა ნაკრებმა საბერძნეთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე. ჩვენი 16-წლამდელები, რომელთა მიზანიც A დივიზიონში თავის შემაგრება გახლდათ, უძლიერეს ჯგუფში მოხვდნენ ევროპის ელიტარული საკალათბურთო ქვეყნების გუნდებთან — შარშანდელ ჩემპიონ ესპანეთთან, იტალიასთან და სლოვენიასთან. მიხეილ კობეშავიძის გუნდმა პირველი ჯგუფური ეტაპის საწყისი მატჩები დათმო და მესამე შეხვედრაში ყველასთვის მოულოდნელად გააცამტვერა მძლავრი სლოვენია. ამით ჩვენმა ნაკრებმა მთავარ მიზანს მიაღწია, ჯგუფიდან გავიდა, A დივიზიონში ადგილი შეინარჩუნა და ახლა ყველა მატჩი რომც წააგოს, მათზე აუგის მთქმელი არავინ გამოჩნდება. თუმც კადეტთა დამრიგებელი მაინც იმედიანადაა და ამბობს, ფსიქოლოგიური ტვირთი მოხსნილი გვაქვს და ეგებ ერთი გამარჯვებაც გამოვაძროთო. მიხეილ კობეშავიძეს გუშინ საბერძნეთში შევეხმიანეთ და წარმატება მივულოცეთ...

— სლოვენიამ წინა მატჩში კინაღამ მოქმედი ჩემპიონი ესპანეთი დაამარცხა და თუ ჩვენთან წააგებდა, თან ამხელა სხვაობით, ვერავინ იფიქრებდა. ყველა გაოცებული იყო. იტალიისა და ესპანეთის ნაკრებების წარმომადგენლები თვალებს არ უჯერებდნენ — სლოვენიას ჯგუფიდან გასულად ვთვლიდითო.

**— მართლაც ასეთი ძლიერია სლოვენია, რომ ქართველებს მათთან უშანსოდ თვლიდნენ?**

— დაბალ ასაკში ძნელია წინასწარ ვინმეს ფავორიტად მიჩნევა, თუმც ყველაზე კარგად შედეგები მეტყველებენ ყველაფერზე. ჩვენამდე სლოვენიელებმა ესპანეთთან მოგებული თამაში წააგეს. მატჩის დასრულებამდე 70 წამით ადრე 3 ქულას იგებდნენ, ბურთიც მათი იყო და იმდენი ქნენს, რომ დარჩენილ დროში ესპანელებს ანგარიში გაათანაბრებინეს. მატჩი ოვერტაიმში გადავიდა და იქ უკვე ესპანელებმა იმარჯვეს. აქედან კარგად ჩან სლოვენიელების სიძლიერე. ესპანეთი შარშანდელი ევროპის ჩემპიონია და წლეულსაც ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ითვლება. ასე რომ, ფიქრობდნენ, სლოვენიელებს ჩემპიონი ესპანელები ძლივს გადაურჩნენ და ქართველებს ხომ იოლად დაამარცხებენო.

**— თქვენ თუ ელოდით, რომ გაიმარჯვებით?**

— რა თქმა უნდა, ველოდი. მით უმეტეს, იტალიასთან მატჩის შემდეგ, რომელშიც სულ იოლად შეგვეძლო გამარჯვება, მაგრამ თამაში ჩაგვივარდა. მე მქონდა სლოვენიის იტალიასთან და ესპანეთთან მატჩების ფირები. მთელი ღამე ვაკვირდებოდი ჩვენს მოწინააღმდეგეს და ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა შერჩეულმა ტაქტიკამ ნაყოფი გამოიღო.

**— და რა იყო ეს ტაქტიკა?**

— თავიდან იმას ვიტყვი, რომ არანაირ ტაქტიკას არ აქვს ეფექტი, თუ გუნდში მისი შემსრულებლები არ გყავს. ბიჭებმა ზუსტად შეასრულეს ჩემი დავალება, ყველამ მაქსიმუმი გაიღო და სლოვენია ისე იოლად დავამარცხეთ, თავი ვარჯიშზე გვეგონა. დაიწყო თუ არა თამაში, ბიჭები ისე კარგად იცავდნენ თავს, რომ გამარჯვების მაშინვე ვირწმუნე. მთავარი იყო პერიმეტრის გაკონტროლება, რადგან სლოვენიელებს ერთადერთი მაღალი მოთამაშე ჰყავთ და მათ მთავარ დამრტყმელ ძალას უკანახაზელები წარმოადგენენ. ჩვენებმა მოახერხეს ზონების გადაკეტვა, სამქულიანის მისადგომებთანაც ზღუდავდნენ მეტოქეს და ასეთ დროს ყველაფერი გამოგვივიდა. სწრაფი კონტრშეტევებიც განვახორციელეთ, ფარიც მოვიგეთ და სამქულიანებითაც ხომ ავიკელით სლოვენიელები.

**— ბექა ჩიკვილაძემ სამქულიანების სროლისას ძალიან მოიწადინა. 8 ცდიდან 6 ჩააგდო და საბოლოოდ 34 ქულა დააგროვა. მისით არავინ დაინტერესებულა?**

— მე ბექასი მჯეროდა და თუ დაუკვირდებით, მას წინა მატჩებში ბევრს ვათამაშებდი. ჩიკვილაძემ მართლაც შესაშური მიზანი გამოავლინა და მისით, რა თქმა უნდა, არაერთი სკაუტი დაინტერესდება, მაგრამ მარტო ბექა არ ყოფილა მოედანზე. ჩვენ სლოვენია გუნდურად დავამარცხეთ და ყველას თანაბარი წვლილი მიუძღვის გამარჯვებაში. სათადარიგოებმაც კი, ვინც მოედანზე გამოვიდა, ყველამ გაამართლა.

**— მთავარი მიზანი მიღწეულია, მაგრამ ტურნირი გრძელდება...**

— გრძელდება და ჩვენც ვეცდებით, კიდევ ერთხელ გავაოცოთ ევროპა. მართალია, მეორე ჯგუფურ ეტაპზე საკმაოდ ძლიერი მეტოქეები გვყავს, მაგრამ ახლა გაცილებით უკეთეს ვითარებაში ვართ. გეგმა შესრულებული გვაქვს, A დივიზიონში დავრჩით და ბიჭები მომავალ მატჩებს ყოველგვარი სტრესის გარეშე ითამაშებენ. წაგებისთვის მათ პასუხს აღარავინ მოსთხოვს და ბიჭებმა რაც იციან, იმას გააკეთებენ.

**ირაკლი ბერტაია**

**საქართველო 100:70 სლოვენია**
**25:21 21:18 23:16 31:15**

**საქართველო:** თავართქილაძე (19), ჩიკვილაძე (34), იოსელიანი (9), დვალიშვილი (12 ქულა, 11 მოხსნა), შენგელია (11); მაღლაკელიძე (7), ელანიძე (6), ქოხონელიძე (2), ხეთაგური, სულაბერიძე, ბოქოლიშვილი

**სლოვენია:** სირნიკი (19), რადუსავლიევიჩი (4), ფერმე (10), ბუდა (3), მურიჩი (10); სარალია (13), გავრიჩი (4), გოლეცი (3), პეროვსკი (2), ბესედიჩი (2), გლავასი, ნიკოლიჩი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 237:188 | 6 |
| იტალია | 3 | 2 | 1 | 213:181 | 5 |
| საქართველო | 3 | 1 | 2 | 209:240 | 4 |
| სლოვენია | 3 | 0 | 3 | 193:243 | 3 |

**საქართველო მეორე ჯგუფურ ეტაპზე**

24 ივლისი
**საქართველო — სერბეთი**
25 ივლისი
**საქართველო — ისრაელი**
26 ივლისი
**საქართველო — საფრანგეთი**

# სერბებმა მომავალი ირწმუნეს

## ამერიკა ახალგაზრდულადაც ჩაიჭრა

**ახლახან** იყო, სერბეთის 20-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონი რომ გახდა. გუშინწინ კი ერთი წლით უმცროსებმა მსოფლიოში იპირველეს — შინაურ ნოვი სადში გამართული პირველობის ფინალურ მატჩში ამერიკის ნაკრები 74:69 დაამარცხეს.

ეს უკვე მერამდენე ტურნირია, სადაც ამერიკელებს ხელი მოეცარათ. მსოფლიოში ყველაზე მაგარი კალათბურთელების პატრონ ქვეყანას ოქროს მოგება ენატრება — ოლიმპიადა იქნება, მსოფლიოს ახალგაზრდული თუ ჩვეულებრივი ჩემპიონატი.

აშშ-ს ნაკრებში სტუდენტურ კალათბურთში გამობრძმედილი ჯეელები თამაშობდნენ. იქ არაერთი იყო ისეთი, **NCAA**-ს წლევანდელ ოთხთა ფინალში რომ უთამაშია. ეტყობა ამ, ამერიკულ უნივერსიტეტებში ნარჩევ ბიჭებს, ისევე როგორც თავის დროზე ნბა-ში მოთამაშე დრიმთიმელებს, თანასწორ მეტოქეებად არავინ მიაჩნდათ და აკი დაისაჯნენ კიდეც.

ამერიკელებს ჯგუფურ ეტაპზე სერბები დამარცხებული ჰყავდათ და ეგონათ, ფინალშიც მიაღწევდნენ თავისას, მაგრამ... მლადენ იერემიჩმა, ვინაც 40-ივე წუთი გაატარა მოედანზე, 24 ქულა ჩაუკალათა ამერიკელებს და სერბებს გამარჯვება დაუბევა.

ცნობილი ნბა-ელი სნაიპერის, დელ კარის შვილმა სტეფანმა ცდა არ დააკლო, მაგრამ მისი 7 სამქულიანიდან მხოლოდ ორმა მიაღწია მიზანს. აქედანაც მეორეს უკვე აზრი აღარ ჰქონდა — ბოლო წამები იყო და ნოვი სადის გადაჭედილი დარბაზი მსოფლიოს ჩემპიონობას ზეიმობდა.

მესამე ადგილი ერგო საფრანგეთს, რომელმაც ბრაზილია 75:67 დაამარცხა.

**ირაკლი ბერტაია**



# კოკა კოლა და 15 ათასი

## თბილისში კაცთა ჩოგბურთი დაბრუნდა



ბრიტანელი როს კონოლი პირველ წრეში გიორგი ხრიკაძეს შეხვდება

**რამდენიმეწლიანი** პაუზის შემდეგ თბილისი კაც ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირს მასპინძლობს. იან ჰომერის სახელობის კორტებზე 32 ჩოგბურთელი დღეიდან 15 ათასი დოლარი საპრიზო ფონდის გასანაწილებლად იბრძოლებს.

რეალურად ტურნირი, უკვე გასულ უქმეებზე დაიწყო საკვალიფიკაციო ნაწილით, ხოლო დღეიდან შეჯიბრი ძირითად ბადეში გაზურდება.

„კოკა კოლას თასად" წოდებული ტურნირის კვალიფიკანტთა შორის შვიდი ქართველი იყო, მაგრამ მათგან ძირითად ბადეში მხოლოდ ერთი, რევაზ ოსაძე შევიდა. ოსაძემ პირველ წრეში თანამემამულე ლაზარე კუხალაშვილს მოუგო 6:2 6:2, ხოლო შემდეგ ებრაელი კონსტანტინ ბლანკი 6:3 6:2 დაჯაბნა.

კუხალაშვილის მსგავსად პირველივე წრეში დამარცხდნენ ბექა ბუჩუკური, გიორგი კემულარია, გიო ნავროზაშვილი და ალექსანდრე თავხელიძე. ბუჩუკურს 6:0 6:2 სძლია კვალიფიკანტთა შორის პირველ ნომრად განთესილმა არგენტინელმა მატიას ნიემისმა, კემულარია 6:0 6:0 გაანადგურა ავსტრალიელმა ეიდინ ფიცჯერალდმა, ნავროზაშვილს 6:2 6:3 მოუგო სლოვაკმა მიხალ პაჩიცკიმ, ხოლო თავხელიძე 1:6 4:6 დამარცხდა მაკედონიელ ვასკო ზრდავკინთან.

კიდევ ერთმა ქართველმა დემეტრე თაქთაქიშვილმა პირველ წრეში 7:6 2:6 6:4 კი მოუგო ებრელ იტაი ლევის, მაგრამ შემდეგ 2:6 1:6 წააგო სომეხ არუტინ სოფიანთან.

საბოლოო ჯამში კვალიფიკაციიდან ძირითად ბადეში რვა ჩოგბურთელი შევიდა: რევაზ ოსაძე, მატიას ნიემისი, არუტინ სოფიანი, ებრაელი გუი კუბი, მიხალ პაჩიცკი, რუსი სტანისლავ ჟურავსკი, ხორვატი მიხაილ კარპოლი და ირლანდიელი ჯეიმს მაკგი.

ოსაძის გარდა ძირითად ბადეში კიდევ ოთხი ქართველი ითამაშებს. ლადო ჩიხლაძე სულაც მესამე ნომრადაა განთესილი, ხოლო გიორგი ხრიკაძეს, გიორგი ჭანტურიასა და ნიკოლოზ ქურდაძეს „უაილდ ქარდები" ერგოთ, ანუ ისინი შეჯიბრში ორგანიზატორთა მიწვევით ითამაშებენ.

პირველ წრეში ჩიხლაძე რუს იგორ რუდს ხვდება, ხრიკაძე — ბრიტანელ როს კონოლის, ოსაძე — რუს მიხაილ ლეპშიცას, ჭანტურია — მე-6 ნომრად განთესილ ჩეხ დანიელ ლუსტიგს, ხოლო ქურდაძეს ტურნირის მე-2 ნომერი, ფრანგი კლემენ მორელი დაუპირისპირდება.

ისე მოხდა, რომ წილისყრის შედეგად ხუთიდან ოთხი ჩვენებური ბადის ზედა ნახევარში მოხვდა, ქვევით მხოლოდ ქურდაძეა.

პირველ ნომრად **ATP**-ის რეიტინგის 493-ე ნომერი, რუსი მიხაილ ელგინია განთესილი. შემდეგ მოდიან მორელი (525), ჩიხლაძე (543), უკრაინელი ვლადისლავ ბონდარენკო (590), ყაზახი სურუმ აბდუხალიკოვი (682), ლუსტიგი (720), ფრანგი შარლ როშე (755) და უკრაინელი ივან ანიკანოვი (919).

ერთეულთა პარალელურად წყვილითა შეჯიბრიც გაიმართება, რომელშიც 16 დუეტი მიიღებს მონაწილეობას. ქართველები სამი წყვილით არიან წარმოდგენილნი: კუხალაშვილი — ქურდაძე, ჭანტურია — ნავროზაშვილი და ხრიკაძე — ოსაძე.

**ლაშა გეგეჭკორი**

# ჩაკვეტაძის ხუთში ხუთი



**ქალები**
**ცინცინატი. აშშ. ჰარდი**
**საპრიზო 175 000 $**

**ფინალი**

**ანა ჩაკვეტაძე (1, რუსეთი) — აკიკო მორიგამი (7, იაპონია) 6:1 6:3**

„როგორც ჩოგბურთელი, ის ძალიან გაიზარდა. ერთობ დახვეწილად თამაშობს — კუთხიდან კუთხეში იმდენს გარბენინებს, რომ სიქა გაგძვრება. ვცადე, ტემპიდან ამომეგდო, მაგრამ არაფერი გამომივიდა" — მეტოქის ქებაში იყო ნამატჩევს აკიკო მორიგამი.

ისე, ანა ჩაკვეტაძემ ყველანაირი ეპითეტი დაიმსახურა იმ თამაშისთვის, რაც ფინალში აჩვენა. ანამ თითქმის უშეცდომოდ იჩოგნავა და არცთუ სუსტი მორიგამის მინიმალური შანსიც არ დაუტოვა.

ჩეკვეტაძემ წლეულს მესამე, კარიერაში კი მეხუთე ტიტული მოიგო, თან უკვე მესამე კონტინენტზე იხეირა — ჯერ ავსტრალიურ ჰობარტში იმარჯვა, რასაც ჰოლანდიურ ჰერტოგენბოშში გამარჯვება მოჰყვა, ახლა კი მან ამერიკულ ცინცინატში იჩემპიონა. გარდა ამისა, ჩაკვეტაძე ფინალებში ისევ დაუმარცხებელი რჩება — მეხუთე ფინალიდან მეხუთე ტიტული მოიგო.

**კაცები**
**ლოს ანჯელესი. აშშ**
**ჰარდი. საპრიზო 525 000 $**

**ფინალი**

**რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) — ჯეიმს ბლეიკი (2, აშშ) 7:6 5:7 6:2**

თავისი 12 წლიანი საჩოგბურთო კარიერის განმავლობაში რადეკ შტეპანეკმა მხოლოდ მეორე ტიტული მოიგო, როცა ლოს ანჯელესის ფინალში ტურნირის მეორე ნომერი ჯეიმს ბლეიკი დაამარცხა.

ჩეხისთვის ამ გამარჯვებას განსაკუთრებული ფასი აქვს — შარშან უიმბლდონზე მეოთხედფინალში გასვლის შემდეგ შტეპანეკი რეიტინგში პირველად შევიდა საუკეთესო ათეულში, მაგრამ შემდეგ ერთ-ერთ ვარჯიშზე ნერვი დაიზიანა, რის გამოც ის არათუ ვერ თამაშობდა, არამედ მარჯვენა ხელს საერთოდ ვერ იყენებდა. ამის გამო ჩეხს ბევრი გაუცდა და მხოლოდ ამ წლის დასაწყისში შეძლო კორტზე მობრუნება. თუმც წლეულს შტეპანეკი ამაზრზენად გამოიყურებოდა და წინა კვირას გშტაადში მეოთხედფინალში გასვლამდე ძირითადად პირველივე წრეში აგებდა ხოლმე.



ახლა კი ჩეხმა ტიტული მოიგო, რაც მისთვის დამატებით მოტივაციად უნდა იქცეს. მით უმეტეს, რომ ფინალი ძალიან დაძაბული გამოდგა და შტეპანეკს გვარიანი წვალება დასჭირდა ბლეიკის გასატეხად. ჩეხმა ჯერ პირველ სეტში 3:5 ჩამორჩენა ალმოფხვრა, ზედ სამი სეტ-პოინტი გაანეიტრალა და მხოლოდ ტაიბრეიკზე იხეირა.

ამას არანაკლებ დაძაბული მეორე სეტი მოჰყვა, სადაც ყველაფერი ისევ ბოლოსკენ გაირკვა და აქ უკვე ბლეიკს გაუმართლა. გადამწყვეტ პარტიაში კი შტეპანეკის უპირატესობა ეჭვს აღარ იწვევდა და მან დამსახურებულადაც იმარჯვა.

**კახა ლომჯაშვილი**

# ბადეში და ბადის მიღმა

**ლუქსემბურგში,** პეტანჟე-ჰოსპიტალიტის თიხნარზე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ქალთა 75-ათასიანი ტურნირი ტარდება. საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი მაკა ჩახნაშვილი შეჯიბრის ძირითად ბადეშია და პირველ წრეში 23 წლისა და კლასიფიკაციაში 174-ე ადგილზე მყოფ ჰოლანდიელ ელიზ ტამაელას შეხვდება.

კიდევ ორი ჩვენებური ამერიკის შეერთებულ შტატებში, აგრეთვე **ITF**-ის ტურნირებზე თამაშობს — ლუქსინგტონში სალომე დევიძე, ხოლო ევანსვილში სოფო მელიქიშვილი. საფარი ორივეგან ჰარდია, ოღონდაც საპრიზო ფონდი მნიშვნელოვნად განსხვავებული — ლუქსინგტონური შეჯიბრი 50-ათასიანია და ევანსვილურს ამ მხრივ ხუთჯერ აღემატება.




მელიქიშვილი ევანსვილში ძირითად ბადეშია და სავარაუდოდ განთესილთა შორისაც იქნება, ხოლო დევიძე ლექსინგტონური ტურნირის ძირითად ბადეში მოხვედრას კვალიფიკაციიდან ცდილობს. პირველ წრეში სალომემ 6:2 6:1 აჯობა 18 წლის ამერიკელ მერიტ ემერს და მეორე მეტოქედ კი ქართველს კიდევ ერთი მასპინძელი, 15 წლის უაღრესად ნიჭიერი მელანი ოუდინი ეყოლება, ვისაც **WTA**-ს რეიტინგში 556-ე პოზიცია უჭირავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაკა ჩახნაშვილი კარიერის უმაღლეს, 136-ე პოზიციაზე ავიდა

# სარეიტინგო ადი-ჩადი

**ქართული** ქალთა ჩოგბურთის ლიდერებმა მაკა ჩახნაშვილმა და ანა ტატიშვილმა გუშინ გამოქვეყნებულ **WTA**-ს ახალ რეიტინგში მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს მდგომარეობა. მაკამ 10 პოზიცია მოიგო და კარიერის უმაღლეს, 136-ე საფეხურს უწია, ხოლო ანამ, ვისაც ცინცინატიში კარგი თამაში დაუფასდა, სულაც 77 ადგილით წაიწია და ახლა 291-ე ნომერია.

ჩახნაშვილისა და ტატიშვილის გარდა ქალთა რეიტინგში კიდევ თერთმეტი ჩვენებურია. მათგან სამმა, სალომე დევიძემ, სოფო მელიქიშვილმა და ეკა გორგოძემ მცირედით უკან დაიხიეს, ხოლო დანარჩენებმა, ასევე მცირედით მაღლა აიწიეს.

უმნიშვნელო ცვლილებებია კაცთა შორისაც. **ATP**-ის რეიტინგში კვლავაც, მხოლოდ სამი ჩვენებურია.

| | | |
|---|---|---|
| **კაცები** | | |
| 554(-11) | ლადო ჩიხლაძე | 40 |
| 822(+1) | ირაკლი ლაბაძე | 15 |
| 1333(-1) | ნოდარ ითონიშვილი | 2 |
| **ქალები** | | |
| 136(+10) | მაკა ჩახნაშვილი | 241,0 |
| 291(+77) | ანა ტატიშვილი | 85,25 |
| 567(-16) | სალომე დევიძე | 25,5 |
| 609(+11) | სოფო შაფათავა | 22,0 |
| 653(-6) | სოფო მელიქიშვილი | 18,0 |
| 729(+7) | მანანა შაფაქიძე | 14,0 |
| 770(+3) | ოქსანა კალაშნიკოვა | 12,5 |
| 786(-3) | ეკა გორგოძე | 12,0 |
| 959(+4) | სოფო ქვაცაბაია | 7,0 |
| 1052(+7) | თინა ყაველაშვილი | 5,0 |
| 1076(+9) | სალომე ჩაჩხუნაშვილი | 4,75 |
| 1249(+10) | მარიამ ქურდაძე | 2,75 |
| 1269(+12) | თეონა ცერცვაძე | 2,5 |

## კაცები

### განთესვის რეიტინგი

| | | |
|---|---|---|
| 1. | როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 7290 |
| 2. | რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 5455 |
| 3. | ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 3245 |
| 4. | ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 3175 |
| 5. | ენდი როდიკი (აშშ) | 3130 |
| 6. | ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2770 |
| 7. | ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2085 |
| 8. | რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 2085 |
| 9. | ტომი ჰაასი (გერმანია) | 2035 |
| 10. | ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1995 |
| 11. | ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1975 |
| 12. | ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 1940 |
| 13. | მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1890 |
| 14. | ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 1865 |
| 15. | გილერმო კანასი (არგენტინა) | 1607 |
| 16. | დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1535 |
| 17. | ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 1525 |
| 18. | ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 1405 |
| 19. | მარკოს ბაღდადისი (კვიპროსი) | 1370 |
| 20. | კარლოს მოია (ესპანეთი) | 1295 |

### საჩემპიონო რბოლა

| | | |
|---|---|---|
| 1. | რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 936 |
| 2. | როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 801 |
| 3. | ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 561 |
| 4. | ენდი როდიკი (აშშ) | 329 |
| 5. | ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 325 |
| 6. | ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 293 |
| 7. | ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 280 |
| 8-9. | დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 257 |
| 8-9. | რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 257 |
| 10. | მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 252 |
| 11. | ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 244 |
| 12-13. | გილერმო კანასი (არგენტინა) | 241 |
| 12-13. | ტომი რობრედო (ესპანეთი) | 241 |
| 14. | ტომი ჰაასი (გერმანია) | 240 |
| 15. | მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 227 |
| 16. | ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 221 |
| 17. | ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 220 |
| 18. | ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 214 |
| 19. | კარლოს მოია (ესპანეთი) | 212 |
| 20. | პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) | 186 |

## ქალები

### განთესვის რეიტინგი

| | | |
|---|---|---|
| 1. | ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 4457 |
| 2. | მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3678 |
| 3. | ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3241 |
| 4. | სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2978 |
| 5. | ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 2898 |
| 6. | ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2424 |
| 7. | ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2326 |
| 8. | სერენა უილიამსი (აშშ) | 2325 |
| 9. | ნადია პეტროვა (რუსეთი) | 2002 |
| 10. | ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1973 |
| 11. | მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1870 |
| 12. | დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1857 |
| 13. | მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1845 |
| 14. | დინარა საფინა (რუსეთი) | 1742 |
| 15. | ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1699 |
| 16. | ვინუს უილიამსი (აშშ) | 1655 |
| 17. | პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1651 |
| 18. | შაჰარ პირი (ისრაელი) | 1529 |
| 19. | ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1410 |
| 20. | ნა ლი (ჩინეთი) | 1159 |

### საჩემპიონო რბოლა

| | | |
|---|---|---|
| 1. | ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 3245 |
| 2. | ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 2990 |
| 3. | ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 2431 |
| 4. | სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2161 |
| 5. | სერენა უილიამსი (აშშ) | 2141 |
| 6. | მარია შარაპოვა (რუსეთი) | 1785 |
| 7. | ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1635 |
| 8. | ვინუს უილიამსი (აშშ) | 1630 |
| 9. | დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1463 |
| 10. | ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1421 |
| 11. | მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1407 |
| 12. | ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1406 |
| 13. | დინარა საფინა (რუსეთი) | 1336 |
| 14. | ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1288 |
| 15. | შაჰარ პირი (ისრაელი) | 1222 |
| 16. | მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1186 |
| 17. | პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1014 |
| 18. | ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 966 |
| 19. | სიბილ ბამერი (ავსტრია) | 940 |
| 20. | ნა ლი (ჩინეთი) | 937 |

**მსოფლიოს ჩემპიონატი. მეთერთმეტე ეტაპი**



# კეისი სტოუნერის ამერიკული ჰეთ თრიკი

## უშველის შვებულება როსის?

**გამორჩეულად** რთული პროფილის — ჩახლართულ და აღმართ-დაღმართიან „ლაგუნა სეკაზე“ მესამედ გაიმართა აშშ-ის გრან პრი. სიშორე-სირთულის გამო ოკეანის გაღმა საჯირითოდ მხოლოდ „სამეფო“, მოტო **GP** კატეგორიის წარმომადგენლები მიემგზავრებიან.

საკვალიფიკაციო ერთსაათიანი გაჯიბრება ათიოდე წუთის დაწყებული იყო, როცა ერთ-ერთი მასპინძლის კურტის რობერტსის გვერდის ავლისას მარკო მელანდრის „ჰონდა“ ამერიკელის „**KR**212“-ს ოდნავ წამოედო, ტრასას გადასცდა და მოხრეშილ ზონაში მაგრადაც გადაყირავდა. სესია შეწყდა — ფეხდაშავებული იტალიელი მხედარი საკაცით გაიყვანეს, მისი რაშისგან დაშლილი დამცავი ბარიერის აღდგენას კი თითქმის ოცი წუთი მოანდომეს.

მარკოსთვის საპოულე ბრძოლა დასრულებული ჩანდა, მაგრამ ტკივილის მიუხედავად, ნახევარი საათის შემდეგ ტრეკზე დაბრუნდა, თუმც, ცხადია, სახეირო ვერაფერი აჩვენა — მხოლოდ მეათე სასტარტო პოზიცია.

პოული ჩემპიონატის ლიდერმა კეისი სტოუნერმა მოიგო და რბოლაშიც ყველას აჯობა. მხოლოდ დაწყებისას, რამდენიმე წამით დათმო მეწინავეობა, მერე კი ისეთი ტემპი აკრიფა, რომ ახლოს ვერავინ გაეკარა და უზარმაზარი, ათწამიანი სხვაობით მიასწრო ფინიშთან უახლოეს მდევარს. რბოლაში უსწრაფესი წრეც ავსტრალიელის იყო, თანაც ტრეკის რეკორდით. ასე რომ, სტოუნერმა ამერიკაში პირველი გამარჯვება ჰეთ თრიქით მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ წლეულს პირველად მოხდა, როცა კვალიფიკაციის მომგებმა რბოლაშიც გამარჯვება იზეიმა.

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი ვალენტინო როსი სტარტზე მეორე რიგში, მეოთხე იდგა და მის უთვალავ ტიფოზსაც იმედი ჰქონდა, რომ თანამემამულე „დოქტორი“ მწვანეკონტინენტელ კონკურენტს დუელს გაუმართავდა, მაგრამ ერთ დროს უძლეველი როსის „იამაჰას“ ახლაც აკლდა სისწრაფე და 28 წლის „მოტოშუმახერმა“ როგორც დაიწყო ბრძოლა, ასევე დაასრულა თავისთვის სამარცხვინო მეოთხე ადგილზე.

21 წლის სტოუნერმა კი სეზონში უკვე მეექვსე რბოლის მოგებით „დოქტორთან“ უპირატესობა 44(!) ქულამდე გაზარდა და გულდამშვიდებული წავიდა თითქმის ერთთვიან საყოველთაო შვებულებაში.

ქებათაქება მელანდრის. ტკივილის მიუხედავად, მან არათუ შეძლო რბოლაში მონაწილეობა, განსაცვიფრებლად იაქტიურა — დასაწყისშივე ოთხი პოზიციით ამაღლდა, ხოლო შემდეგ 115-კილომეტრიან დისტანციაზე დანიელ პედროსას და თვით როსის გასწრებაც შეძლო და ფინიშთან მესამე მიიჭრა.

**გია ახალაძე**

### აშშ-ის დიდი პრიზი. ლაგუნა სეკა— 3,671 კმ

**მოტო გრან პრი — 115,52 კმ**

| | | |
|---|---|---|
| 1 | კეისი სტოუნერი (ავსტრალია, დუკატი მალბორო) | 44 წთ; 20,3 |
| 2 | კრის ვერმეულენი (ავსტრალია, რიზლა სუზუკი) | ჩამორჩა 9,9 |
| 3 | მარკო მელანდრი (იტალია, ჰონდა გრესინი) | 25,6 |

**საერთო ჩათვლა**

1 სტოუნერი 221 ქულა; 2 ვალენტინო როსი (იტალია, ფიატ იამაჰა) 177; 3 დანიელ პედროსა (ესპანეთი, რეპსოლ ჰონდა) 155; 4 ვერმეულენი 113; 5 მელანდრი 113

# 94-ე ტურ დე ფრანსი 7-29 ივლისი



მიქაელ რასმუსენი ალბერტო კონტადორის იერიშებს არ შეეპუა

# მთის კაცი ყვითელში

## რასმუსენმა წინწკლებიანი მაისურა გაანათხოვრა

**ბოლოჯერ** მთიელმა, ანუ გამოკვეთილად სამთო მრბოლმა „ტურ დე ფრანსი“ 1998 წელს მოიგო. მაშინ ეს ლეგენდარულმა იტალიელმა მარკო პანტანიმ გააკეთა და იმ წელს, სულაც იშვიათი დუბლი გააზრჩა — „ტურამდე“ „ჯიროზეც“ იპირველა. საერთოდაც, იშვიათად, მთის კაცმა „ტური“ მოიგოს. „დიდი მარყუჟის“ შეკვრას უნივერსალიზმი სჭირდება — მთაშიც მაგარი უნდა იყო, ბარშიც და ინდივიდუალურ რბოლებშიც.

მიქაელ რასმუსენი ინდივიდუალური რბოლის მოყვარული არასოდეს ყოფილა. წლევანდლამდე დაყოფილი სტარტით, ვთქვათ 50 კილომეტრზე სადღაც 5-6 წუთის ფარგლებში აგებდა ხოლმე. გასულ შაბათს, როდესაც წლევანდელი „ტურის“ პირველი ინდივიდუალური ეტაპი იყო, დანიელი საკუთარ თავს გადაახტა და ამაში იმას ვგულისხმობთ, რომ გამარჯვებულთან სამ წუთზე ოდნავ ნაკლები წააგო. რასმუსენი პირველ რიგში მთის კაცია, შარშანწინდელი და შარშანდელი „ტურის“ საუკეთესო სამთო მრბოლი და წლეულსაც, სწორედ მას ეკუთვნის საუკეთესო მთიელის სარგო წითელწინწკლებიანი თეთრი მაისურა, ოღონდაც კოლუმბიელ სოლარიზე აქვს განათხოვრებული, რადგანაც თვითონ უკეთესი და ყველასათვის საოცნებო, გენერალური კლასიფიკაციის ლიდერის ყვითელი მაისურა აცვია.

როდესაც პირველ ალპურ ეტაპზე შოკისმომგვრელი გაქცევის შემდეგ ეს მაისურა მოირგო, რასმუსენმა თქვა, ახლა ძალიან უნდა „მოვინდომო“, პირველობა ვინმემ რომ წამართვასო.

ჯერჯერობით ვერ ართმევენ და რასმუსენიც, ყოველგვარი ბრჭყალების გარეშე, მართლაც რომ მონდომებულია და პელოტონის ყოჩის როლში ყოფნა ცოტა კი ეხამუშება, თავის ყვითელ მაისურას კბილებით იცავს.

ძალიან მონდომებულია 24 წლის ესპანელი ალბერტო კონტადორიც. უკვე მეორე პირინეული ეტაპია, „დისქავერის“ ახალგაზრდა მრბოლი ბოლო მთაზე შეტევას შეტევაზე აკეთებს და ცდილობს, რასმუსენთან ორწუთნახევრიანი ჩამორჩენა შეამციროს, მაგრამ დანიელი ხომ თავად არის „მთის მეფე“ და კონტადორის ყველა იერიშზე კონტრიერიშით პასუხობს.

ამ ორის მუდმივი შეტევებით კი სხვებს, იმათ, ინდივიდუალურ რბოლაში რომ არიან ძლიერნი და დამდეგ შაბათს, ანუ ბოლოსწინა, დაყოფილსტარტიან ეტაპს ელიან, თანდათან სიქა ეცლებათ. გუშინ ხუთმთიანი პირინეული ეტაპის ბოლო ალმართში კონტადორი და რასმუსენი კიდევ ერთხელ გაექცნენ კედელ ევანსს, ანდრეას კლოდენს, ანდრეი კაშეჩკინს, ლევი ლეიფემერსა და სხვა მდევრებს და ამათთან თავიანთი უპირატესობა კიდევ 56 წამით გაზარდეს.

ევანსი რასმუსენთან ზუსტად 4 წუთს აგებს, კლოდენი — 5 წუთსა და 34 წამს და თუ ხვალ, ბოლო სამთო ეტაპზე რაიმე ექსტრაორდინალური არ მოხდა, ძნელი წარმოსადგენია, შაბათის ინდივიდუალურ რბოლაში დანიელმა ამხელა უპირატესობა გაფლანგოს.

გუშინ ფუადან ლუდენვილ ლე ლურონამდე პელოტონს 196 კილომეტრი და ხუთი მთა ჰქონდა გადასალახი — ორი მეორე, შემდეგ პირველი, უმაღლესი და ისევ პირველი კატეგორიის, ოღონდაც ფინიში არა ალმართში, არამედ ბოლო მთიდან დაშვების შემდეგ, დაბლობში იყო. პელოტონი თავიდანვე დაიქსაქსა და გაქცეულთა საკმაოდ ძლიერ ჯგუფს ალექსანდრ ვინოკუროვი ჩაუდგა თავში. ამ ჯგუფთან მიერთება ალეხანდრო ვალვერდემაც სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა და საერთო ჩათვლაში უიმედოდ ჩამორჩენილი „ვინო“ კი პელოტონმა უპრობლემოდ გაუშვა წინ.

2003 წლის „ტურზე“ ვინოკუროვმა დაახლოებით ანალოგიური პროფილის ეტაპი მოიგო. იმ ეტაპზე, ბოლო დაღმართისას ხოსება ბელოკი საშინლად დაიმტვრა, ხოლო „ვინომ“ ისეთ დიდოსტატებს აჯობა, ლენს არმსტრონგი და იან ულრიხი რომ იყვნენ. ყაზახმა ამ ჯერზეც იხეირა. თავიდანვე ხომ მოწინავეთა შორის იყო და ბოლო ალმართზე კი ისე შეუტია, რომ თანამგზავრები ველარ აჰყვნენ, წინ მყოფ რამდენიმე მრბოლსაც ამოუწურათ ენერგია და „ვინომ“ პირველმა უწია რა მწვერვალს, დაღმართში მდევრებთან უპირატესობა თითქმის წუთამდე გაზარდა.

ვინოკუროვმა ბოლო სამ დღეში მეორედ იმარჯვა, მაგრამ ამ ორ მოგებას შორის იმდენი წააგო, რომ ყვითელ მაისურაზე მინიმუმ ერთი წლით ჩაიქნია ხელი და თავად ყვითელმაისურიან რასმუსენსაც დიდად არ ანაღვლებდა, რა ხდებოდა მისი ჯგუფის წინ.

ვინოკუროვი უკვე ფინიშისკენ მიჰქროდა და ამ დროს კონტადორი თავისი მუდმივი ჩხვლეტებით არ ასვენებდა რასმუსენს. ესპანელმა ბარე ხუთჯერ შეუტია, მაგრამ დანიელიც არ ჩამორჩა და ისინი, ვინოკუროვთან ხუთწუთნახევრიანი ჩამორჩენით, ასე ერთად მივიდნენ ფინიშზე.

გავიდა თითქმის ერთი წუთი და სხვებიც გამოჩნდნენ. ისინი, ვისაც რასმუსენი უფრთხოდა და ჯერაც უფრთხის. მათ შორის ვალვერდეც იყო, მაგრამ დანიელს ამ ბასკის აღარ ეშინია — „კაისე დეპარნის“ ლიდერი რასმუსენს თითქმის 11 წუთით ჩამორჩება და საერთო ჩათვლაშიც, მხოლოდ მეთერთმეტეა.

დღეს „ტურზე“ დასვენების დღეა, ხოლო ხვალ ბოლო მთებია — ორტედან დობისკის მთამდე პელოტონს ერთი უმაღლესი და სამი პირველი კატეგორიის მწვერვალი ექნება დასალაშქრი.

| მე-15 ეტაპი. ფუა-ლუნდევილ ლე ლურონი. 196 კმ | |
|---|---|
| 1. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, "ასტანა") | 5სთ 34წთ 28წმ |
| 2. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „T-მობაილი") | +51წმ |
| 3. აიმარ სუბალდია (ესპანეთი, „ეუსკალტელი") | +51წმ |
| 4. ხუან ხოსე კობო (ესპანეთი, „სონი დიუვალი") | +58წმ |
| 5. ხუან მანუელ გარატე (ესპანეთი, „ქვიკ სტეპი") | +2წთ 14წმ |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. მიქაელ რასმუსენი (დანია, „რაბობანკი") | 69სთ 52წთ 14წმ |
| 2. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „დისქავერი") | +2წთ 23წმ |
| 3. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო") | +4წთ |
| 4. ლევი ლეიფემერი (აშშ, „დისქავერი") | +5წთ 25წმ |
| 5. ანდრეას კლოდენი (გერმანია, "ასტანა") | +5წთ 34წმ |
| 6. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +6წთ 46წმ |
| 7. აიმარ სუბალდია (ესპანეთი, „ეუსკალტელი") | +7წთ 27წმ |
| 8. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, „ასტანა") | +7წთ 54წმ |
| 9. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „T-მობაილი") | +8წთ 24წმ |
| 10. მიგელ ასტარლოა (ესპანეთი, „ეუსკალტელი") | +9წთ 21წმ |



# ძველი სურათი

**სამი ერის** პირველობა დამთავრდა, მაგრამ სამხრეთელ გიგანტთა ტურნირს ირბ-ს რეიტინგში მნიშვნელოვნად არაფერი შეუცვლია — ახალი ზელანდია იყო და რჩება რეიტინგსიის თავში ერთპიროვნულ და მიუკარებელ ლიდერად. ისე კი გასული კვირის კლასიფიკაციასთან შედარებით არც რომელიმე სხვა გუნდს შეუცვლია მდგომარეობა. სამეულში ევროპელთაგან მხოლოდ საფრანგეთია, ხოლო ბოლო წლებში წამოჩიტული არგენტინა ისევ უსწრებს რაგბის მშობელს და მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონ ინგლისს და პოზიციის ადვილად დათმობას ნამდვილად არ აპირებს. საქართველო ისევ რუმინეთ-იაპონიის შუაშია მოქცეული და მეჩვიდმეტე პოზიციაზე რჩება. სულ რეიტინგში 95 გუნდია, რომელთაგან რჩეულთა სიას შემოგთავაზებთ.

| | |
|---|---|
| 1. ახალი ზელანდია | 93,30 |
| 2. ავსტრალია | 87,12 |
| 3. საფრანგეთი | 85,66 |
| 4. სამხრეთ აფრიკა | 84,85 |
| 5. ირლანდია | 82,52 |
| 6. არგენტინა | 82,43 |
| 7. ინგლისი | 78,93 |
| 8. უელსი | 76,26 |
| 9. იტალია | 75,53 |
| 10. სამოა | 74,97 |
| 11. შოტლანდია | 73,94 |
| 12. ფიჯი | 70,52 |
| 13. კანადა | 70,06 |
| 14. ტონგა | 67,52 |
| 15. აშშ | 67:20 |
| 16. რუმინეთი | 66,79 |
| 17. საქართველო | 66,38 |
| 18. იაპონია | 65,85 |
| 19. რუსეთი | 64,37 |
| 20. ურუგვაი | 63,29 |
| 21. პორტუგალია | 62,03 |
| 22. ესპანეთი | 59,49 |

**ზურაბ მიზრიაული**



პირი ვეეპუ მსოფლიოს თასს მიღმა დარჩა

**ახალზელანდიელთა** დამრიგებელმა გრემ ჰენრიმ მსოფლიოს თასზე წასაყვანი მორაგბეების სრული, 30-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. სიონ ლაუაკი და ენდრიუ ელისი ყველასთვის მოულოდნელად მოხვდნენ განაცხადში, ხოლო პირი ვეეპუ ერთ-ერთ იმ გულდაწყვეტილთაგანაა, რომლებიც საფრანგეთში ვერ გაემგზავრებიან. გასულ კვირას ჰენრიმ მხოლოდ 29 კაცი დაასახელა, ოცდამეათედ კი ბურჯ გრეგ სომერვილს მოიაზრებს, რომელიც დაზიანებულ აქილევსს მკურნალობს და დროზე გამოჯანმრთელების შემთხვევაში გუნდს შეუერთდება. ასევე არც სამწვრთნელო შტაბში და არც მოთამაშეთა გა-

# ახალზელანდიური რაგბი 30 კაცამდე დამრგვალდა

ნაცხადში არ მოხვდა 34 წლის ლეგენდარული ტანა უმაგა. მართალია, იგი ძველებურად ველარ ბრწყინავს, მაგრამ მისი მარტო სახელიც კი თავზარდამცემია ბევრი გუნდისთვის.

### ახალი ზელანდია მსოფლიოს თასზე

**მორკინალები:** ჯერი კოლინზი, კარლ ჰეიმანი, ენდრიუ ჰორი, კრის ჯეკი, სიონ ლაუაკი, კრის მასო, რიჩი მაკქოუ (კაპ), კევინ მეალამუ, ენტონი ოლივერი, კიტ რობინსონი, როდნი სოოიალო, რუბენ სორნი, ნიმია ტიალატა, ალი უილიამსი, ტონი ვუდკოკი

**უკანა ხაზი:** დენ კარტერი, ენდრიუ ელისი, ნიკ ევანსი, დაგ ჰაულეტი, ბაირონ კელეჰერი, ბრენდონ ლეონარდი, ლუკ მაკალისტერი, ლეონ მაკდონალდი, ეირონ მაუგერი, მალილი (მილს) მულიაინა, ჯოსევატა (ჯო) როკოკოკო, სიტივენი სივივატუ, კონრად სმიტი, ისაია ტოეავა



ოსკარ დე ლა ჰოია და ფლოიდ მეივეზერ-უმცროსი

# მეივეზერი-ჰატონი-დე ლა ჰოია
## მაგიური სამკუთხედი ბრიტანული წვერით

**როგორც** ჩანს, კრივის მოყვარულთა ოცნებას, ოსკარ დე ლა ჰოიასა და ფლოიდ მეივეზერ-უმცროსის კიდევ ერთი ბრძოლა იხილონ, ასრულება არ უწერია. მოგეხსენებათ, ორიოდ თვის წინ გამართული „დეკადის ბრძოლად“ მიჩნეული მათი ჩხუბი მეივეზერის გამარჯვებით დასრულდა, ოღონდ იმ ჯახმა ბევრს გაუცრუა იმედები. თანაც ბრძოლა თანაბარი გამოვიდა, რის გამოც დე ლა ჰოიას გულშემატკივრები ახლაც ამტკიცებენ, რომ მათ კერპს არ წაუგია. სწორედ ამიტომ ბევრი ვარაუდობდა, რომ მატჩ-რევანში აუცილებლად შედგებოდა. თუმცა, როგორც ახლახან გაირკვა, რევანშის სურვილი არც თავად „ოქროს ბიჭს“ აქვს და არც მეივეზერი იკლავს ამაზე თავს.

მეორეს მხრივ კი სასიხარულო ისაა, რომ რინგიდან წასვლას არც ერთი მათგანი არ გეგმავს. ამაზე სერიოზული საუბარი იყო, როგორც დე ლა ჰოიას, ისე მეივეზერის მხრიდან, მაგრამ მათი ბოლო კომენტარებიდან გამომდინარე, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ რინგზე ორივეს ვნახავთ.

დე ლა ჰოიას მიზნებზე ყველაზე ადრე მისმა ახლო მეგობარმა და ბიზნეს-პარტნიორმა რიჩარდ შეფერმა ისაუბრა, რომელმაც განაცხადა, რომ „ოქროს ბიჭი“ მომავალ წელს აუცილებლად იჩხუბებს, მაგრამ ჯერ არ არის ცნობილი, ვისთან.

ოსკარის უარს მატჩ-რევანშზე სულაც არ დაუმწუხრებია მეივეზერის შტაბი, რომელსაც ჯერ ვერ აურჩევია მომავალი მეტოქე პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელი ფლოიდისთვის.

„თავს ვერ მოვიკლავთ იმის გამო, რომ ოსკარს მატჩ-რევანშის გამართვა არ უნდა. მას ისე შეუძლია მოიქცეს, როგორც მოეხასიათება, მაგრამ ის ველარასოდეს იქნება იმ ფორმაში, რომ ფლოიდს გაუმკლავდეს. მან ეს კარგად იცის და ამიტომ გაგვირბის“ — ეს მეივეზერის წარმომადგენლის ლეონარდ ელერბეს სიტყვებია.

თავად დე ლა ჰოიას კი ნაკლებად ალელვებს, მასზე რას ფიქრობენ მეივეზერის შტაბში. „ოქროს ბიჭი“ ნამდვილად გეგმავს რინგზე დაბრუნებას და ძალიან უნდა ბრიტანელ რიკი ჰატონთან დაპირისპირება.

„ჰატონთან ბრძოლა შეიძლება მართლა შედგეს. ის ბრწყინვალე მოკრივეა და დარწმუნებული ვარ, რომ კრივის მოყვარულებს ჩვენი ჯახის ხილვა დიდ სიამოვნებას მიანიჭებს“ — თავისი მომავალი ბრძოლის რეკლამას აქედანვე შეუდგა დე ლა ჰოია.

თავად ჰატონი რა პოზიციაზე დგას? ბრიტანელი კვერს უკრავს „ოქროს ბიჭს“ და აცხადებს, რომ დე ლა ჰოიასნაირ ლეგენდასთან დაპირისპირება მისთვის დიდი პატივი იქნება.

თუმცა ერთი ეგაა, რომ დე ლა ჰოია-ჰატონის ჯახი მომავალ წლამდე არ შედგება. ამერიკულ ტელევიზიებსა და სპონსორებს კი უკვე წელს უნდათ ჰატონის რინგზე ხილვა. მის სავარაუდო მეტოქეებად მეორე ნახევრადსაშუალო წონაში WBA-ს ვერსიით ჩემპიონ მიგელ კოტოს, მსოფლიოს ექსჩემპიონ შეინ მოსლისა და ფლოიდ მეივეზერ უმცროსს ასახელებენ.

დე ლა ჰოიასადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ჰატონს პირველ რიგში მეივეზერთან ჩხუბი სწადია:

„ფლოიდი მსოფლიოს საუკეთესო მოკრივეა, მაგრამ ვიცი, მას როგორ მოვერიო. ჩემი მთვარი პრიორიტეტი სწორედ მეივეზერთან დაპირისპირებაა. თუმცა ეს თუ არ გამოვიდა, მზად ვარ, ოსკართან ვიჩხუბო“.

აქ კიდევ ერთი საკითხი იქნება გადასაწყვეტი — ჰატონი მეივეზერზეც მძიმეა და დე ლა ჰოიაზეც, ამიტომ თუ რომელიმეს წინააღმდეგ გავა რინგზე, ბრიტანელს სამი კილოგრამის დაკლება მოუწევს.

**ძაზა ლოზუზვილი**

## ლინარესმა ლარიოსი...

**21 წლის** პერსპექტიულმა ვენესუელელმა ხორხე ლინარესმა მოულოდნელად ნოკაუტით მოუგო ექსჩემპიონს პირველ ნახევრადმსუბუქ წონაში, მექსიკელ ოსკარ ლარიოსს.





გამოუცდელობის მიუხედავად, ლინარესმა მშვენიერი ბრძოლა ჩაატარა და მეათე რაუნდში დარტყმების მორიგი უსწრაფესი კომბინაციის შემდეგ ლარიოსი ფიცარნაგს ჩაახუტა — თან ისე, რომ მექსიკელმა ათ დათვლამდე წამოდგომა ვერ მოასწრო.

შედეგად ლინარესმა WBC-ს ვერსიით დროებითი ჩემპიონობა მოიპოვა. დროებითი იმიტომ, რომ ამ წონაში ჩემპიონს, კორეელ ინ ჯინ ჩის ტრავმის გამო ტიტულის დაცვის საშუალება არ ჰქონდა. თუმცა აზიელი გამოჯანმრთელდება თუ არა, ტიტულის დაბრუნების შანსი აუცილებლად მიეცემა, მაგრამ ლინარესის ძლევა მაინც უნდა გაუჭირდეს.

## რიზის ქამარი

**ბრიტანელმა** გევინ რიზმა WBA-ს საჩემპიონო ქამარი მოიპოვა პირველ ნახევრადსაშუალო წონაში, როცა ამ უმქეებზე მოქმედი ჩემპიონი, ფრანგი სულეიმან მბაე დაამარცხა.

ბრძოლა დროზე ადრე არ მორჩენილა და მოკრივეებმა რინგზე 12 რაუნდი გაატარეს, მაგრამ მსაჯებმა რიზს მთლიანობაში დიდი უპირატესობა მიანიჭეს — 118:110, 117:113 და 117:112.

## ენცომ ტიტული დაიცვა



**პირველ** მძიმე წონაში WBO-ს ვერსიით ჩემპიონმა, ბრიტანელმა ენცო მაკარინელიმ წარმატებით დაიცვა ტიტული — ამავე წონაში WBC-ს ვერსიით ექსჩემპიონი, ამერიკელი უეინ ბრეტუეიტი დაამარცხა.

ბრძოლისთვის განკუთვნილი 12-ვე რაუნდის განმავლობაში იტალიური წარმოშობის ბრიტანელი აშკარა უპირატესობას ფლობდა, ერთხელ კი, მეხუთე რაუნდში, მაკარინელიმ მეტოქე ნოკდაუნშიც გაუშვა. მსაჯებს სწორედ ამიტომ არ შეპარვიათ ეჭვი გამარჯვებულის დასახელებისას და სამივემ მოგება ბრიტანელს ჩაუთვალა.

## მსუბუქი ოზის მძიმე გამარჯვება

**მსუბუქ** წონაში WBO-ს დროებითი ტიტულის მფლობელმა ავსტრალიელმა მაიკ კასტიდისმა ქამარი შეინარჩუნა, როცა 21 წლის ფილიპინელ ზარა ამონსოტიას გაუმკლავდა. ბრძოლა ძალიან დაძაბული გამოდგა, მაგრამ ოზმა ორჯერ, მეორე და მეცხრე რაუნდებში, დაანოკდაუნა მეტოქე, რამაც სასწორი მის მხარეს გადახარა და მსაჯებმაც გამარჯვება ოზს მიაკუთვნეს.

**ძაზა ლოზუზვილი**

### ოლიმპიზმი

## ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი. ბელგრადი, სერბეთი

# ცუდად დაწყებული კარგად უნდა გაგრძელდეს

**კვირას** ბელგრადში საზეიმოდ გაიხსნა ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი, გუშინ კი შეჯიბრებებიც დაიწყო.

ფესტივალის პირველ საშეჯიბრო დღის სტარტზე გამოვიდა თბილისელი გიორგი მთვრალაშვილი, რომელიც 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ცდიდა ძალას. სამწუხაროდ, იგი ძალზე ჩამორჩა მეტოქეებს და მხოლოდ 24-ე ადგილი დაიკავა (2.19,91). ნახევარფინალში მოსახვედრად მას 4 წამზე მეტი დააკლდა.

გუშინდელი დღე წარუმატებელი გამოდგა ჩვენი მეორე სპორტსმენისთვისაც — ჩოგბურთელი გიორგი ხმიადაშვილი პირველსავე წრეში დამარცხდა ესპანელ რობერტო ორტეგასთან — 4:6 1:6.

სტარტზე წარუმატებლობის მიუხედავად, ამ ფესტივალს მაინც იმედის თვალით ვუყურებთ და არაერთ მედალს ველით, განსაკუთრებით ძიუდოისტი ბიჭებისგან, რომლებიც დღეს გავლენ ტატამზე.

**ავთანდილ ბუკიშელი**

### ჭადრაკი

## ილუმჟინოვმა ბუხრის პირას ოლიმპიადა ინატრა

**ფიდეს** პრეზიდენტ კირსან ილუმჟინოვს მიაჩნია, რომ ჭადრაკი სოჭის 2014 წლის ოლიმპიადის პროგრამაში იქნება.



„საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი რეკომენდაციას უწევს ჭადრაკს, რათა ზამთრის სახეობებში მოხვდეს. ვფიქრობთ, ეს 2014 წლისთვის მოესწრება“ — განაცხადა ილუმჟინოვმა.

1999 წელს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ჭადრაკი სპორტის ოლიმპიურ სახეობად აღიარა და მას შემდეგ ფიდე ოლიმპიადაში მონაწილეობას ითხოვს.

„ზაფხულში ქუჩაში შეგვიძლია თამაში, ზამთარში კი ბუხართან. ამჟამად შესაბამისი კომისია მუშაობს და მალე გადაწყვეტს, ზამთრის სახეობებში ვიქნებით, თუ ზაფხულისაში“ — დასძინა ილუმჟინოვმა.

**ლუზა გიგიბძორი**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# აფრიკა არც ისე შავია



ლუის ფან ცული

**ალჟირში** გრძელდება აფრიკის მე-9 თამაშები, ერთგვარი კონტინენტური ოლიმპიადა, სადაც მთავარი. ყურადღება, რაღა თქმა უნდა, მძლეოსნებისკენაა მიპყრობილი.

სპინტერული დისტანციების პირწმინდად დაპყრობის შემდეგ ნიგერიელ მძლეოსნებს 400 მეტრზეც თავი ფავორიტები ეგონათ, აქაოდა, რაკიღა 100 და 200-მეტრიანი გარბენები კაცებშიც და ქალებშიც მოვიგეთ, ერთმა წრემ რაღა დააშავაო, მაგრამ უკვე ექვსი ოქროს მქონე ნიგერიულ გუნდს ახლა ვერცხლებიღა შერჩა. 400 მეტრზე ქალებშიც და კაცებშიც კალაჰარის უნაპირო უდაბნოში გაზრდილმა ბოტსვანელებმა მოიგეს — კაცებში კალიფორნია მოფელემ (45,59), ქალებში კი ამანტლე მონთშომ (51,13).

ეს ამბავი პარასკევს მოხდა, შაბათს კი ყურადღების ეპიცენტრში სამხრეთ აფრიკის თეთრთავა წარმომადგენლები მოექცნენ და დაამტკიცეს, რომ შავი კონტონენტი მხოლოდ შავების არაა. სამხრეთაფრიკულმა გუნდმა ტურნირის მეოთხე დღეს ერთბაშად 4 სახელი მოიგო, პირველ რიგში სათქმელია კაცთა 400 მეტრი თარჯრბენი, სადაც უნდა გაებრწყინა ლუის ფან ცულს. ამ ყმაწვილმა ამასწინათ ევროპაც დაიპყრო — ოქროს ლიგის რომაულ ეტაპზე 48,24 შედეგი აჩვენა და იქ კერონ კლემენტს და ჯეიმს კარტერს აჯობა და რა გასაკვირია, ამ სახეობის ნაკლებად დამფასებელ აფრიკელებშიც რომ გამარჯვებას გეგმავდა. იმ დღეს მას 22 წელი შეუსრულდა და სამხრეთ აფრიკის ოლიმპიურმა კომიტეტმა უზარმაზარი ტორტი გამოუცხო თავისი 22 სანთლით. ფან ცულმაც ყოჩაღად ირბინა და 48,74 შედეგით მოიგო, ოღონდ ამ დრომ დიდი კმაყოფილება ვერ მოჰგვარა — რომაული 48,24-ის შემდეგ 48,74-ით ვერ დატკბება კაციო. სამაგიეროდ, მას შეეძლო, მარწყვიანი ტორტით დამტკბარიყო, მაგრამ რაკი თავისი თავის და პროფესიის პატივისცემელი ჯეელია, ნუგბარი ოდნავ გასინჯა და აღარ მისძალებია.

არ დაგვავიწყდეს და, 400 მეტრ თარჯრბენში პოდიუმი მთლიანად „ცისარტყელოვანი ერის“ შვილებმა დაიკავეს. ფან ცულს აქეთიქიდან ამოუდგნენ თანაგუნდელები პიტერ დე ვილერსი (48,91) და ელვინ მიბურგი (ასევე 48,91).

დანარჩენი სამი სამხრეთაფრიკული ოქროები მოიგეს ქალმა სიგრძეზე მხტომელმა ჯენის ჯოზეფსმა (6,79), ქალთა ბადროს მტყორცნელმა ელიზნა ნაუდემ (58,40) და კაცმა უროს მტყორცნელმა კრის ჰერმსმა (76,73).

კვირას: დღეს კი სარბენ ბილიკებზე უფრო შორ დისტანციებზე მორბენალი აღმო-აფრიკელები გამოჩნდნენ. 5 კილომეტრზე კაცთა შორის სირბილში ფავორიტად ითვლებოდა ბეკელე, ოღონდ არა დიდი კენენისა, არამედ მისი უმცროსი ძმა ტარიკუ. კენენისა ბეკელემ წინა თამაშებზე, 2003 წელს აბუჯაში მოიგო 5-კილომეტრიანი გარბენი, მაგრამ ალჟირში აღარ ჩასულა, რამეთუ გზა უმცროს ძმას, 20 წლის ტარკუს დაუთმო. ტარიკუმ და მისმა ეთიოპმა ფეხის ამწყობებმა აბრაჰამ ჩერკოსმა და მოჰამედ ალი აბდოშმა ისე მოკურცხლეს, თითქოს უკან აღმოსავლეთ აფრიკის ყველაზე დიდი საშინელება, შიმშილი მოსდევდათ. სტარტიდან უკანასკნელ წრემდე ისინი ჯგუფის თავში მირბოდნენ, მერე კი ის ორი დაიღალა და პატარა ბეკელე მარტო დარჩა. მას თითქოს არ უნდა გასჭირვებოდა ბოლო 400-500 მეტრზე ლიდერობის შენარჩუნება, მაგრამ მას ჯერ უგანდელმა მოზეს კიპსირომ გაასწრო, რომელიც მანამდე ზურგში მირბოდა და ძალებს ბოლოსთვის ინახავდა, ბოლო მეტრებზე კი კენიელმა კიპრონო მენჯომაც ჩაურბინა და აფრიკულ 5 კილომეტრზე საგვარეულო ოქროს დამკარგავ ტარიკუ ბეკელეს ბრინჯაოღა შერჩა 13.13,43 შედეგით. კიპსირომ დისტანცია 13.12,51-ში დაფარა, მენჯომ კი — 13.12,64-ში.

ეთიოპია მაინც არ დარჩა მშიერი, 5 კილომეტრზე კაცებში შელახული რეპუტაცია 1500 მეტრზე მორბენალმა ქალმა გელეტე ბურკამ აღადგინა 4.06,09 შედეგით. კაცთა 1500 მეტრი კი კენიელმა აბსელ კიპროფმა 3.38,97 დროში მოიგო.

**კოტე ყორშია**

# პიტკამაკი აზრზე მოდის




**რომში** ელდანაცემი ტერო პიტკამაკი თანდათან გონს მოდის და მკლავშიც უბრუნდება ღონე. გავიხსენოთ: წინა პარასკევს უმძლავრესმა ფინელმა შუბი სასროლეთს გააცილა და ფრანგ სიგრძეზე მხტომელ სალიმ სდირის გაარტყა გვერდში. სდირი იოლად გადარჩა, პიტკამაკის ცივი იარაღი მას ნეკნებში მხოლოდ სამი სანტიმეტრის სიღრმეზე შეერჭო და ორგანოები არ დაუზიანებია.

ახლა წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდა „დამნაშავე“ პიტკამაკი, რომელსაც კინაღამ, კაცი არ შემოაკვდა. აიჭრა, აირია საწყალი ტერო და რამდენიმე კარგი ტურნირი გამოტოვა. მაგრამ ახლა ის შუბს და მოედანს დაუბრუნდა და ძველებურადაც სტყორცნა.

კვირას მან მონაწილეობა მიიღო მშობლიურ ფინეთში, ქალაქ ლაპინლაჰტიში გამართულ შუბმტყორცნთა ტურნირზე, სადაც ერთ-ერთ ცდაზე შუბი 91 მეტრსაც კი გადააცილა — 91,26. ეს შედეგი მისთვის საუკეთესოა ამ სეზონში და მესამე კარიერაში. დღესდღეობით თავის საქმეში ნომერ პირველი მძლეოსანი გაცილებით კმაყოფილი დარჩებოდა, სეზონის საყოველთაო რეკორდსაც რომ შესწვდენოდა, მაგრამ სულ რაღაც 6 სანტიმეტრი დააკლდა. სეზონის რეკორდს კვლავ ამერიკელი ბრიუს გრირი ფლობს, რომელმაც, შეიძლება ითქვას, შემთხვევით გასტყორცნა შუბი 91,29 მეტრზე. თუმცა ისეც არ ჩანდა პიტკამაკი უკმაყოფილო — „ლაპინლაჰტიში რომ ჩამოვედი, ერთადერთი რამ მსურდა, დამევიწყებინა რომში მომხდარი და უბრალოდ, კარგად მესროლა შუბი. ყველაფრის გათვალისწინებით, ჩემი დღევანდელი შედეგი ნამდვილად არ არის ცუდი.“

ისე კი სათქმელია, რომ პიტკამაკი არ გახლავთ ერთადერთი ფინელი, ვისაც შუბის გვარიანად შორს გატყორცნა ეხერხება, ლურჯჯვრიან სუომურ დროშას ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატზე ალბათ სხვა ფინელიც წარადგენს, მაშინ, როდესაც გაცილებით დიდ სამძლეოსნო ქვეყნებში შეიძლება, ერთი საშუალო შუბის მტყორცნელიც ვერ მოიძებნოს. შესაძლოა, ოსაკაში წამსვლელი მეორე ფინელი იყოს იარკო კოსკივაჰალა, რომელმაც დამაკმაყოფილებლად შორს, 84,02 მეტრზე სტყორცნა შუბი. კოსკი-ვაჰალა უკვე 28 წლისაა და მსოფლიოს ჩემპიონატზე ან ოლიმპიადაზე არასდროს მოხვედრილა, მაგრამ ასეთი ნატყორცნით ულაპარაკოდ ერგება ოსაკას ლიცენზია. ასევე შანსი აქვს 23 წლის ანტი რუსკანენსაც, რომელმაც ლაპინლაჰტიში 80 მეტრს გადააცილა შუბი (80,78), ხოლო მისი საუკეთესო შედეგი 84,10 მეტრია.

**კოტე ყორშია**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge